ახალი განათლება

2015 წელი, 26 მარტი - 1 აპრილი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№12 (686) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სტუმარი

ჩვენი სამშობლო მთელი საქართველოა

რუბრიკის სტუმარია მუსტაფა კოლათი (ქოლოტაშვილი), „მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების პლატფორმის“ წევრი, სოფელ ნურუოსმანიეს საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

„ჩემი ბებია ყოველთვის ქართულად საუბრობდა, თურქული ცოცხა იცოდა. მე ხშირად ვიყავი მასთან და ქართული სიტყვები სწორედ მან მასწავლა. ის იყო ჩემი ქართული ენის პირველი „მასწავლებელი“. მოგვიანებით, თურქეთში გამოცემული ჟურნალი – „ჩვენებურები“ ჩამივარდა ხელში. სწორედ ამ ჟურნალში ვნახე პირველად ქართული ანბანი. მაშინ ქართული წერა არ ვიცოდი, ანბანის დახმარებით სახლში ვმეცადინეობდი, ჩემით ვისწავლე ქართული ასოების გამოყვანა. ამავე ჟურნალში დავინახე ქართული სტატიების კითხვა. სწორედ იქ ამოვიკითხე ილია ჭავჭავაძის სიტყვები ჩვენებურებზე: „...სად მიდიან ეს ადამიანები – მამების, დედების და ძმების სასაფლაოებს ტოვებენ და მიდიან...“ ჩემზე ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედა, მაშინ მივხვდი, თუ რა არის ქართველობა და საქართველოსთან კავშირი.“

გვერდი 4

ჩვენზე ერთით მეტი, მაგრამ მეგობრები ხომ ქრომოსომებს არ ითვლიან

გვერდი 2

ახალი საუნივერსიტეტო პროგრამები შეუვალი პრინციპით – მაღალი ხარისხი

გვერდი 3

წიგნის თარო

სიახლე!

გამოვიდა ქართულ ლიტერატურაში საატესტატო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების მეოთხე ნაწილი

XX საუკუნის მწერლობა

ფასი 12 ლარი

ჩვენზე ერთით მეტი, მაგრამ მეგობრები ხომ ქრომოსომებს არ ითვლიან...

ლალი ჯელაძე

„მალე დედა გავხდები... ექიმებმა მითხრეს, რომ ჩემს შვილს დაუნის სინდრომი აქვს. მეშინია. ნეტავ, როგორი ცხოვრება ექნება ჩემს ბიჭუნას.“ – მომავალი დედის წერილიდან. ამ გულისამაჩუყებელი წერილის პასუხი საოცარი ვიდეორგოლია, რომელიც, შეიძლება ითქვას, საუკეთესო გზავნილია და ყველა იმ შესაძლებლობის და უნარის გახმოვანება, რაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შეუძლიათ. ეს არის გზავნილი ყველა დედისთვის, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს და არა მხოლოდ მათთვის, მსოფლიო საზოგადოებისთვის და, რაც მთავარია, ამ შესაძლებლობებს თავად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ახმოვანებენ:

„ძვირფასო მომავალო დედა, ნურაფრის გეშინია. შენი შვილი ბევრი რამის გაკეთებას შეძლებს. შეძლებს, ჩაგეხუტოს, შენკენ გამოიქცეს. შეძლებს გესაუბროს და გითხრას, რომ უყვარხარ. სკოლაშიც ივლის, როგორც ყველა. ისწავლის წერას და შენც მოგწერს ხოლმე, თუ ერთ მშვენიერ დღეს შენგან შორს იქნება, შორს, რადგან, რა თქმა უნდა, მას მოგზაურობაც შეეძლება. ის შეძლებს დაეხმაროს მამას ველოსიპედის შეკეთებაში. შეძლებს იმუშაოს და საკუთარი ფული ჰქონდეს და იმ ფულით სადილზე დაგპატიჟოს ანდა ბინა იქირაოს და საცხოვრებლად მარტო გადავიდეს. ზოგჯერ გაგიჭირდება, ძალიან გაგიჭირდება, ზოგჯერ იფიქრებ, რომ მეტი აღარ შეგიძლია. მაგრამ მერე რა, ზოგჯერ ყველა დედა არ ფიქრობს ასე?

ძვირფასო მომავალო დედა, შენი შვილი ბედნიერი იქნება, ისეთი ბედნიერი, როგორც მე ვარ და ბედნიერი იქნები შენც. ხომ, დედა?“

მსოფლიოში 800 ბავშვიდან ერთი ასეთი იბადება, მათ უჯრედებში, 46-ის ნაცვლად, 47 ქრომოსომაა – 21-ე ქრომოსომა, დაწყვილების ნაცვლად, გასამდა... მაგრამ რატომ? ამაზე პასუხი არ არსებობს...

***

21 მარტამდე ერთი კვირით ადრე, თბილისი განსხვავებულმა სიჭრელემ მოიცვა– ფერადი წინდებით მორთულ ადამიანებს ქუჩაში, ტრანსპორტში, სატელევიზიო გადაცემებში, სპეციალურ ღონისძიებებსა და სად არ ნახავდით. ეს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის მხარდაჭერა იყო. „უთვალავი წინდის“ იდეა, 2013 წელს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით დამკვიდრდა. „უთვალავი წინდის“ – LOTS OF SOCKS – მიზანი მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვა და საზოგადოებისთვის იმის შეხსენებაა, რომ ქრომოსომების განსხვავებული რაოდენობა დაავადება არ არის, ის გენეტიკური ცვლილებაა და მეგობრებს ქრომოსომებს არ ვუთვლით! ის არც გადამდებია და არც მემკვიდრეობითი, და რაც ყველაზე მეტად ყურადსაღებია, არც შეურაცხმყოფელი. ტერმინი „დაუნის სინდრომი“ ექიმ ჯონ ლანდომ დაუნს უკავშირდება, რომელმაც პირველმა აღწერა ეს სინდრომი. „უთვალავი წინდის“ იდეას საქართველოს მოსახლეობაც შეუერთდა და, როგორც გითხარით, კვირეულის ფარგლებში, არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. უჩვეულო და ფერადმა შტრიხმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა დაუნის სინდრომთან დაკავშირებული პრობლემები, უამრავი მოქალაქის მიერ სოლიდარობის გამოცხადება კი ხელს შეუწყობს საზოგადოებში დამკვიდრებული სტერეოტიპების რღვევას, რაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების იზოლირებას ინ-ვევს.

2011 წლის 10 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 21 მარტი დაუნის სინდრომის დღედ გამოაცხადა. მრავალ ქვეყანაში, ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები იმართება, მათ შორის საქართველოშიც.

21 მარტი შემთხვევით არ არის შერჩეული – დაუნის სინდრომი ეწოდა მდგომარეობას, რომლის დროსაც, 46 ქრომოსომის ნაცვლად, გვხვდება 47 ქრომოსომი 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება, შესაბამისად, რიცხვი – 21 – შერჩეულია 21-ე ქრომოსომის სიმბოლოდ, ხოლო წელიწადის მე-3 თვე, მარტი – ტრისომიული მოვლენის. არც ჭრელი წინდებია დაუნის სინდრომის შემთხვევითი სიმბოლო – წინდა ქრომოსომის ფორმას მოგვაგონებს.

როგორია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ბედი საქართველოში? – ეს არის საქართველოში დაგეგმილი ყველა ღონისძიების მთავარი შეკითხვა. თუმცა, მანამდე საინტერესოა, ამ სინდრომის მქონე რამდენი ადამიანი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში? კითხვა პასუხგაუცემელია, რადგან საქართველოში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა სტატისტიკა არ არსებობს. რატომ? ამ პრობლემას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის დირექტორი **თინიკო ჭინჭარაული** ასე ხსნის: *„ჩვენთან, რამდენიმე წლის წინ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების ძალისხმევით, ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრი დაარსდა. ცენტრი დაუნის სინდრომთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, იმავდროულად, ამ სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მათთვის მაქსიმალურად ხელშეწყობას. სამწუხაროდ, არ ვიცით დღეს, საქართველოში ამ სინდრომის მატარებული რამდენი ადამიანია. მსოფლიო სტატისტიკით კი, ყოველ 800 ბავშვში, დაახლოებით, ერთს დაუნის სინდრომი აღენიშნება. სტატისტიკის არქონის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ეს, ფაქტობრივად, ეპიდემიოლოგიური კვლევაა, რომლის განხორციელებაც საკმაოდ დიდ მატერიალურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. თუმცა, წინგადადგმული ნაბიჯია ისიც, რომ წელს ჯანდაცვის სამინისტრომ დაუნის სინდრომის სამეთვალყურეო სახელმძღვანელო დაამტკიცა, რაც, ერთი მხრივ, რეალურად ძალიან გაამარტივებს სტატისტიკის მოპოვებას და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ამ ადამიანებისა და მათი ოჯახების სამედიცინო მეთვალყურეობას. სტატისტიკა აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისთვის და რესურსების ადეკვატურად გადასანაწილებლად.“*

სპეციალისტების რჩევები, თუ რა უნდა ვიცოდეთ, აუცილებლად, დაუნის სინდრომის შესახებ, ასეთია:

– როდესაც ვსაუბრობთ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებზე, სასურველია აქცენტი თავად პიროვნებაზე გაკეთდეს და არა დაუნის სინდრომზე;

– დაუნის სინდრომი ადამიანის გენეტიკური მდგომარეობაა, როდესაც ყველა უჯრედში, 46 ქრომოსომის ნაცვლად, 47 ქრომოსომაა. ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, აქედან გამომდინარე, დაუნის სინდრომი დაავადება არ არის, ადამიანის გენეტიკური მდგომარეობაა;

– მნიშვნელოვანია, როდესაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს ან მის ახლობელს ვესაუბრებით, მოვიხსენიოთ სახელით და არა დაუნის სინდრომით;

საუბრისას ყოველთვის წინა პლანზე უნდა დავაყენოთ პიროვნება, ადამიანი და შემდეგ მისი გენეტიკური მდგომარეობა;

– საუბრისას დაუშვებელია მიმართვის ფორმა: „დაუნის სინდრომით დაავადებული“, „დაუნიზმით დაავადებული“ ან „დაუნი“. ამის ნაცვლად, სასურველია ვიხმაროთ – „დაუნის სინდრომის მქონე“ ან „პირი დაუნის სინდრომით“.

ეს, რაც შეეხება რჩევებს, მაგრამ რეალურად როგორ ასრულებს საზოგადოება ამ რჩევებს ან როგორია საზოგადოების მიმღებლობა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ? ეს კითხვა, ალბათ, არც თუ ძნელი პასუხგასაცემია, რადგანაც ცნობიერება საზოგადოებაში არც თუ მაღალია. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას საზოგადოებაში არსებული უამრავი მითი თუ სტერეოტიპის არებობა გვაძლევს. რეალურად რა გამოწვევების წინაშე დგას დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, მისი ოჯახი და საზოგადოება და რა კეთდება იმისთვის, რომ ეს ადამიანები საზოგადოებაში იყვნენ ინტეგრირებულნი? რა არის მთავარი პრობლემა? *„ცენტრალური პრობლემა, რასაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების ოჯახის წევრები აღნიშნავენ, ეს საზოგადოების მხრიდან მიმღებლობაა* – ამბობს **თინიკო ჭინჭარაული**, – *მათ უნდათ, რომ საზოგადოებამ თავიანთი შვილები ან ოჯახის წევრები მიიღონ ისეთებად, როგორებიც არიან, მიუხედავად იმ თვალსაჩინო განსხვავებისა, რითაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები გამოირჩევიან დანარჩენებისაგან. რას ნიშნავს მიმღებლობა? ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ისევე შეიძლება მივცეთ შენიშვნა, როცა ცელქობენ, როგორც სხვა ბავშვებს. რეალურად მათ ხომ ისევე სწყინთ და უხარიათ, როგორც ნებისმიერ ბავშვს, მიუხედავად თვალსაჩინო განსხვავებისა თანატოლებისგან. საზოგადოების ცნობადობა რომ ასამაღლებელია, ეს სადავო არც არის. ამ მიზნით, ხშირად ეწყობა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები – ფოტო და ნახატების გამოფენები, ბავშვები საზოგადოებაში ცნობილ ადამიანებთან ერთად ხატავენ და შემდეგ ერთობლივ გამოფენებს აწყობენ. ეს უდიდესი სიამოვნებაა, რომელსაც ისინი ამ პროცესში იღებენ. დიდი გამოხმაურება მოჰყვება ხოლმე მათ მიერ ჩატარებულ პატარა კონცერტებსაც კი. ძალიან მნიშვნელოვანია „უთვალავი წინდების“ კამპანიაც, ეს ჭრელი წინდები, რომელიც ლამაზიც არის და ძალიან განსხვავებულიც, ქრომოსომების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა – სიმბოლოდ იმისა, რომ მიუხედავად დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების თვალსაჩინო მსგავსებისა, ისინი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან პიროვნული მახასიათებლებით, სურვილებით, არჩევანით, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი – მეგობრები კი ქრომოსომებს არ ითვლიან.“*

იმ უამრავ ღონისძიებას შორის, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დაუნის სინდრომის დღის აღსანიშნავად გაიმართა, გამოვყოფდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის სახლში „ლიგამუსი“ ჩატარებულ დისკუსიას თემაზე „მითი და რეალობა დაუნის სინდრომის შესახებ“. ბუნებრივია, მისი მიზანი საზოგადოების აქტიურობის გაზრდა იყო და მსჯელობისას მთელი რიგი საკითხების ინიცირება – რა სახის გამოწვევების წინაშე დგას დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, მისი ოჯახი და საზოგადოება; რა იცის საზოგადოებამ გავრცელებული მითების შესახებ და როგორია რეალობა; როგორ ხდება დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში; რა არის გასაკეთებული იმისთვის, რომ შევცვალოთ რეალობა.

ყურადღება გამახვილდა ადრეული განვითარების პროგრამებზე, საჯარო სკოლებში ინკლუზიურ განათლებაზე, მათ შორის დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების ინტეგრაციაზე და მათ პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის პერსპექტივაზე.

ეკა დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი: *„ სამინისტრო, რასაკვირველია, მუშაობს ინკლუზიური განათლების განვითარებაზე და და სტატისტიკურად, ყოველდღიურად, იცვლება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, მათ შორის, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების. შესაბამისად, დაუნის სინდრომის მქონე ბავშებიც არიან ჩართული საჯარო სკოლებში ინკლუზიურ განათლებაში. მისასალმებელია, რომ აქციაში, რომელიც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ სოლიდარობას გამოხატავს, მთელი საზოგადოებაა ჩართული, სხვადასხვა სახითა და ფორმით, მათ შორის სოციალურ ქსელშიც კი. განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების აქტიურობა. ვფიქრობ, მომავალში საზოგადოების ცნობიერება კიდევ უფრო ამაღლდება და მათი ჩართულობა გაცილებით ეფექტური იქნება როგორც სასწავლო პროცესში, ისე საზოგადოებაში.“*

დისკუსიის „მითი და რეალობა“ ერთ-ერთი მომხსენებელი, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების კავშირის „ჩვენი ბავშვები“ წარმომადგენელი, ქალბატონი **ლია ტაბატაძე** გახლდათ. *„ძალიან ბევრი მითი და სტერეოტიპია გავრცელებული საქართველოში დაუნის სინდრომზე. გვინდა ჩვენი გამოცდილება და ცოდნა გავუზიაროთ საზოგადოებას და დავამსხვრიოთ სტერეოტიპები. ვნახოთ, რა არის რეალობაში, როგორ უნდა აღვიქვათ ეს ადამიანები. მათ ხომ იგივე სურვილები და მოთხოვნები აქვთ, ისევე უყვართ, სტკივათ და უხარიათ, იმავე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ განათლების მიღებასა და ღირსეული ცხოვრების დასამკვიდ-*

რებლად. ეს ბავშვები საზოგადოების ისეთივე სრულფასოვან წევრებად უნდა აღვიქვათ, როგორც დანარჩენი სამყარო.“

მთელი კვირის განმავლობაში, ფოტოკამპანიის „ჭრელი წინდები“ ფარგლებში, მსურველები სურათებს იღებდნენ და ამით დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მხარდაჭერას გამოხატავდნენ. ასეთი აქტივობა, რასაკვირველია, კარგია და აუცილებელიც, მაგრამ, ამასთან ერთად, სასურველია უფრო მეტი ვიცოდეთ ამ ადამიანების შესახებ, რათა „დაუნი“ მხოლოდ დამაკნინებელ და დისკრიმინაციულ ტერმინად არ დარჩეს. მინდა, ყველა შევუერთდეთ ქალბატონი ლიას მოწოდებას – ერთად დავამსხვრიოთ მითები და სტეროტიპები, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გვხვდება. მოდით, დღეს, ჩვენი გაზეთის მკითხველებთან ერთად, ვეცადოთ გავაქარწყლოთ 12 მითიდან თუნდაც სამი, რომელიც დაუნის სინდრომზე არსებობს:

მითი 8

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები სულ მხიარულები არიან.

სინამდვილე: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ ემოციების მრავალფეროვანი სპექტრი, ისინი განიცდიან სევდას და სიხარულს, ბრაზს და შიშს, როგორც ყველა.

მითი 9

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლები აქვთ.

სინამდვილე: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები დიდხანს ცხოვრობენ და აღწევენ სიბერეს.

მითი 10

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების შრომისუნარიანობა დაბალია.

სინამდვილე: მთელ მსოფლიოში, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები დასაქმებული არიან ოფისებში, ბანკებში, მომსახურების სფეროებში, ბავშვის მომვლელებად და სხვ. აქვთ მიღწევები სპორტსა და მუსიკაში.

ნუ დავტოვებთ ვიდეორგოლში ჩამოთვლილ მათ შესაძლებლობებს და ოცნებებს მხოლოდ სიტყვებად, ნუ ვაქცევთ მითად შესაძლებელ რეალობას – დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები ბედნიერად ცხოვრობენ!

ამას მხოლოდ ერთად შევძლებთ!

პროფესიული განვითარების სქემა

ახალი საუნივერსიტეტო პროგრამები შეუვალი პრინციპით – მაღალი ხარისხი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას ჩვენს გაზეთში არაერთი წერილი მიეძღვნა, თუმცა თემა იმდენად აქტუალური და მასშტაბურია, პერიოდულად ვაგრძელებთ სქემის სხვადასხვა კომპონენტებზე საუბარს. როგორც ცნობილია, სქემაზე დაყრდნობით, მომზადდა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც კვალიფიციურ პედაგოგებს მოამზადებს. პირები, რომლებიც ახალი საუნივერსიტეტო პროგრამით მიიღებენ განათლებას და 5 წლის განმავლობაში 300 კრედიტს დააგროვებენ, პირდაპირ მეორე საფეხურზე აღმოჩნდებიან. იმ პირებს კი, რომლებიც პროფესიაში ალტერნატიული გზით შესვლას გადაწყვეტენ, ანუ სხვა პროფესიიდან შევლენ, სკოლებში 60-კრედიტიანი საუნივერსიტეტო პროგრამის დაძლევა მოუწევთ. სწავლების პროცესს მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებს.

რა არის ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა პედაგოგიკის მიმართულებით, რას ისახავს მიზნად სამინისტროს ახალი ინიციატივა და რომელ უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდება პროგრამა – ე.წ. განათლების სკოლები – ამის შესახებ საუბრობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე:

– ეს ინიციატივა დაკავშირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ წამოწყებასთან, რომელიც მიზნად მასწავლებელთა 4 კატეგორიად დაყოფას ისახავს. სქემის მიხედვით, გაიზრდება სახელფასო ანაზღაურება, ანუ პედაგოგობა მომხიბვლელი გახდება პროფესიაში შემსვლელებისა და მათთვის, ვინც უკვე მუშაობს სექტორში. რადგან გვჭირდება მასწავლებელთა ახლებურად გადამზადება, განათლების სკოლების მეშვეობით იმ კადრების მომზადება გადავწყვიტეთ, რომლებიც სკოლაში შევლენ. პროგრამა ძალიან ბევრ კომპონენტს მოიცავს, მათ შორისაა 300-კრედიტიანი პროგრამა – ხუთწლიანი სწავლება, რომელიც ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას აერთიანებს. სქემაში პირველი წლიდანვე გათვალისწინებულია სასკოლო პრაქტიკა – ახალგაზრდამ თავიდანვე უნდა გამოსცადოს თავი, რამდენად მზადაა, მოსწონს თუ არა პროფესია, გამოვა თუ არა მისგან პედაგოგი და ა.შ. 4 წელი ძირითად სწავლებას დაეთმობა, მეხუთე წელი კი – სრულად სასკოლო პრაქტიკას და იმ კვლევას, რომელიც უნდა ჩაატაროს მაძიებელმა, მაგისტრის წოდება რომ მოიპოვოს.

მართალია, სექტორში ძალიან ბევრი კვალიფიციური კადრია დარჩენილი, მაგრამ ჩვენი ვალია წინასწარ ვიზრუნოთ ახალი კადრების მომზადებაზე. აი, სწორედ ეს ჯაჭვი გაწყდა, რაც სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა – პირველ რიგში, სოციალურმა და, ასევე, იმანაც, რომ პროფესია არ არის პრესტიჟული. ეს არის თემები, რომლებზეც აქტუალურად ვსაუბრობთ და ვამბობთ, რომ უნდა აღდგეს მასწავლებლის პრესტიჟი. ამისთვის, სულ მცირე, ორი კომპონენტის გაძლიერება და ამოქმედებაა საჭირო. ერთი, რა თქმა უნდა, ფინანსური მოწესრიგებაა, ანუ ხელფასი უნდა იყოს მიმზიდველი. მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ხელფასი ვერ იქნება განმსაზღვრელი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს კარიერული კიბე. ადამიანისთვის, რომელიც მოინდომებს მასწავლებლობას, თავიდანვე უნდა იყოს გასაგები, რა პერსპექტივა აქვს სამი, ხუთი თუ შვიდი წლის შემდეგ, ანუ უნდა ჰქონდეს სტაბილურობის განცდა, ასევე, განცდა იმისა, რომ მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესიაა.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ორ ძირითად დიდ უნივერსიტეტში – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში – დაფუძნდეს პირველი განათლების სკოლები, სადაც ზემოთ ნახსენებ ხუთწლიან, 300-კრედიტიან, პროგრამებს გაივლიან. პარალელურად, იარსებებს უფრო მოკლე გზა – 60-კრედიტიანი პროგრამა. 60 კრედიტი გულისხმობს: საგნობრივ კომპეტენციას (20 კრედიტი), მეთოდოლოგიას, პედაგოგიკას, ბავშვთა ფსიქოლოგიას და ა.შ. (20 კრედიტი) და, რასაკვირველია, სასკოლო პრაქტიკას (20-კრედიტი). ეს პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის დონეზე აქვთ ცოდნა მიღებული, მაგრამ სკოლაში არ უმუშავიათ მასწავლებლად. სწორედ მათ მიეცემათ 60-კრედიტიან პროგრამაში მონაწილეობის და წლის განმავლობაში სექტორში შესვლის შანსი.

მოქმედ მასწავლებლებს ეს არ დასჭირდებათ, ვინც უკვე მუშაობს სკოლაში, ის, რა თქმა უნდა, დარჩება და მუშაობას გააგრძელებს. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია, მოვიზიდოთ კვალიფიციური კადრი, რომელიც აქამდე სკოლაში არ გვყოლია. მაგალითად, ქიმიკოსი, რომელიც სხვაგან მუშაობდა, მაგრამ სკოლაში მუშაობის სურვილი გაუჩნდა და ა.შ.

ვვარაუდობთ, როცა სქემა სრული დატვირთვით ამუშავდება (2017 წლისთვის) – მასწავლებლის საშუალო ხელფასი საბიუჯეტო სისტემაში არსებულ საშუალო ხელფასზე მაღალი იქნება – ეს ჩვენი მიზანია, რომელსაც აუცილებლად მივაღწევთ.

– ვინ მოამზადებს კადრებს და იქნება თუ არა სწავლება განსხვავებული მეთოდოლოგიით?

– მეთოდოლოგია აუცილებლად განსხვავებული იქნება, სხვაგვარად აეწყობა მომზადების ციკლი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ილიას უნივერსიტეტებში საკმაოდ კვალიფიციური კადრები მუშაობენ. ეს ის ხალხია, ვინც განათლების მენეჯმენტის საკითხებზე მუშაობდა, ასევე გვყავს ფსიქოლოგთა კარგი კორპუსი, მეთოდიკის სპეციალისტები – ასე რომ, მათი სახით, გვაქვს პოტენციალი, რომ ორი განათლების სკოლა დავაარსოთ. თუმცა, ეს არ იქნება მხოლოდ თბილისზე კონცენტრირებული, ჩაერთვებიან რეგიონის უნივერსიტეტებიც – ახალციხის, თელავის, გორის და ა.შ. ჩამოყალიბდება კონსორციუმი, რომელიც მასწავლებლების მომზადებაზე იმუშავებს.

რაც შეეხება დროს, როდის ამუშავდება პროგრამები, ჩაფიქრებული გვაქვს მომავალი წლის სექტემბერი, თუ, რასაკვირველია, პროგრამა მოასწრებს აკრედიტაციის გავლას; 60-კრედიტიანი პროგრამა კი აუცილებლად სექტემბრიდან ამოქმედდება.

– რამდენი ადამიანი შეძლებს, ერთდროულად, პროგრამის გავლას?

– ვვარაუდობთ, რომ რიცხვი საკმაოდ დიდი იქნება. რაც მთავარია, პროგრამა სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. მიღება, რასაკვირველია, ეროვნული გამოცდების ქულებზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობთ, საუკეთესო აბიტურიენტები მოვიზიდოთ სისტემაში, რათა გავზარდოთ კონკურენცია. ამას ბევრი კომპონენტი განაპირობებს, მათ შორის, რეგიონული უნივერსიტეტების აქტივობა, შესაძლოა, მათ პროფილიც შეიცვალონ. ვფიქრობთ, რეგიონული უნივერსიტეტი რეგიონის განვითარების ფორვარდად ვაქციოთ. მასწავლებელი უზარმაზარი სეგმენტია, რომელიც სწორედ ადგილობრივად უნდა დაიფაროს. თუმცა, როგორც გითხარით, თამასა ძალიან მაღალი იქნება – ჩატარდება მკაცრი აკრედიტაცია, რომელშიც საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სწრაფად გვჭირდება ბევრი მასწავლებელი, შეღავათი არ იქნება. ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ შეუვალი პრინციპით – მაღალი ხარისხი.

– თუ არსებობს სტატისტიკა, რომელი საგნის პედაგოგებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?

– უმთავრესად, რაც ჩანს, ტექნიკური საგნის პედაგოგების დეფიციტია. ვვარაუდობთ იმასაც, რომ სასკოლო პრაქტიკის შემთხვევაში, სტუდენტს არა მხოლოდ რომელიმე უნიფიცირებულ სკოლასთან, არამედ მთელ სასკოლო პალიტრასთან ექნება შეხება – ქალაქის, სოფლის, მცირეკონტინგენტიან, მაღალმთიან თუ კერძო სკოლებთან. ასევე, გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების კომპონენტიც, რათა პედაგოგი ნებისმიერ სიტუაციაში იქნეს მზად სკოლაში მუშაობისთვის.

დაახლოებით 15-წლიან სტრატეგიაში, მხოლოდ უმაღლესი განათლება არ არის წამყვანი კომპონენტი, ეს არის მთლიანობაში დანახული სისტემა. ძალიან ბევრი მაგალითია მსოფლიოს წარმატებული ქვეყნებისა, რომლებმაც განათლების რეფორმა ჩაატარეს. მათგან რამდენიმეა კარგი მაგალითი, რომელიც ხშირად მოგვყავს – ეს არის ფინეთი, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ჩილე და სხვ. მაგრამ სადაც ასეთი რანგის ცვლილებები დაიწყო, ყველგან იყო ფიქრი და ზრუნვა იმაზე, რომ მასწავლებლების მოტივაცია გაზრდილიყო. დღეს, მაგალითად, ფინეთში მასწავლებლის ვაკანსიაზე, ათი მასწავლებლიდან, ერთს ირჩევენ. ეს არის, ალბათ, ჩვენი სუპერამოცანა. თუ რეფორმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი წარმატებით შესრულდა, მათ შორის: ბავშვის სასკოლო მზაობა; სკოლამდელი აღზრდა; საშუალო განათლება და უმაღლესი განათლება – ამ ამოცანის გადაჭრასაც შევძლებთ. აუცილებელია ამ კომპონენტების დივერსიფიკაცია.

გარდა ამისა, კიდევ ერთი პროექტი ხორციელდება, რომელიც უშუალოდ ახალი კადრების მომზადებას არ ეხება, თუმცა, პედაგოგების გადამზადებას გულისხმობს. პირველად საქართველოს ისტორიაში, ვგეგმავთ, რომ დროდადრო მასწავლებელი დაუბრუნდეს უნივერსიტეტს. აღარ იქნება გაუთავებელი ტრენინგები და ტრენერების მომზადება. ჩვენ უნდა აღვადგინოთ კავშირი მასწავლებელსა და უნივერსიტეტს შორის. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ოდესღაც ნასწავლი საგნის კომპეტენცია დროდადრო ამაღლდეს. როგორც იცით, შემოდის ქულების დაგროვების საინტერესო სისტემა, თვითონ მასწავლებელს შეუძლია დაითვალოს, რა ეტაპზე რა ანაზღაურება ექნება და რა უნდა გააკეთოს ამისთვის – როგორ გადავიდეს ერთი კატეგორიიდან მეორეზე და ა.შ. ამ პროცესში მაქსიმალურად გამოვრიცხეთ ყოველგვარი სუბიექტივიზმი.

– საინტერესოა, ვინც განათლების სკოლას დაამთავრებს, სახელმწიფოს მიერ, უზრუნველყოფილი იქნება სამსახურით?

– ეს აუცილებელი კომპონენტია, რადგანაც დავიწყებთ იმ მიმართულებების კადრების მომზადებას და, შესაბამისად, დასაქმებას, სადაც დეფიციტი გვაქვს. ანუ თუ გვჭირდება, მაგალითად, ფიზიკის პედაგოგთა მცირე რაოდენობა, შესაბამისი რაოდენობის კადრი მომზადდება. თუმცა, ძალიან რთულია ამის გათვლა, მაგრამ რადგანაც მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი ხდება, მოვახერხებთ ბაზრის შესწავლას და კადრის მიწოდების ორგანიზებას.

– თანამედროვე მიდგომების გათალისწინებით, ალბათ, ბევრი რესურსი – კვლევითი ლიტერატურა თუ სახელმძღვანელო – იქნება საჭირო სწავლებისთვის. ენობრივი ბარიერი, ხშირ შემთხვევაში, სწავლის შემაფერხებელია. თუ არ არსებობს საჭირო გამოცემები ქართულ ენაზე?

– ქართული გამოცემები ცოტა გვაქვს, რადგან არც თუ ბევრი ადამიანი მუშაობდა ამ მიმართულებით. რაც შეეხება თარგმანს, ეს ყოველთვის მეორადი პროდუქტის მოხმარებაა, თან დიდი დროც სჭირდება, ვიდრე ითარგმნება და დაიბეჭდება. ამ ვითარებიდან ორი გამოსავალია – ერთი ის, რომ უცხო ენა ვისწავლოთ – საქართველოში ყოველთვის არსებობდა ბილინგვური გარემო, ყოველთვის ერთ ენაზე მეტი ვიცოდით. მეორე გამოსავალია თანამშრომლობა მსოფლიოს სამეცნიერო ბაზების ერთ-ერთ უდიდეს პროვაიდერთან – Elsevier BV. გამომცემლობა ელსევიართან ერთი წელია, რაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. 21 უმაღლესი სასწავლებელია ჩართული ამ სისტემაში და მათ სტუდენტებს უფასოდ შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი უახლესი ინფორმაცია. ასევე, შევარჩიეთ რამდენიმე ქართული ჟურნალი და იმედია, 2016 წლიდან, მაღალი დონის საინფორმაციო ჟურნალები გვექნება, რაც კიდევ ერთი საშუალებაა, რომ ჩვენი მეცნიერება უფრო პოპულარული გახდეს მსოფლიოში. თუმცა, რადგან ინტერნეტის და მეცნიერების ენა ინგლისურია, ძალიან რთული იქნება ინგლისური ენის ცოდნის გარეშე თანამედროვე კონკურენტუნარიანი მასწავლებლის ან მეცნიერის მომზადება.

მოამზადა
ლალი ჯელაძემ

სტუმარი

ჩვენი სამშობლო მთელი საქართველოა

რუბრიკის სტუმარია მუსტაფა კოლათი (ქოლოტაშვილი), „მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების პლატფორმის“ წევრი, სოფელ ნურუოსმანიეს საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

– ბატონო მუსტაფა, პირველ რიგში, მოგესალმებით საქართველოდან და გილოცავთ თურქეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის დამტკიცების ისტორიულ ფაქტს. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

– როგორც იცით, თურქეთში პირველად გაიხსნა ქართული კლასი. ამის შესახებ ჩვენ შარშან, ივნისში, გავაკეთეთ განცხადება. ქართული ენის სწავლების პროგრამამ, სახელმწიფოს მხრიდან, მოწონება დაიმსახურა, ერთი თვის შემდეგ დაამტკიცეს და შევუდექით ქართულის სწავლებას.

აღსანიშნავია, რომ თურქეთში, ჩვენი წინაპრები, ოჯახებში, ქართულად საუბრობდნენ, მაგრამ წერა არ იცოდნენ, ახლა კი ახალგაზრდებმა ქართულად არც წერა იციან და არც საუბარი. ამ კლასის გახსნით ისინი ორივე უნარ-ჩვევას დაეუფლებიან. ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი, მართლაც ისტორიული ფაქტია. იმედია, მალე სხვა სკოლებშიც გაიხსნება ქართული ჯგუფები. კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდი და ფასდაუდებელი შრომა გასწიეს თურქეთის სკოლებში ქართული ენის პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის.

– ქართული ენის პირველი გაკვეთილის ზარი, საქარიას ვიალიეთის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს საჯარო სკოლაში, 2014 წლის 30 ოქტომბერს დაირეკა. როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?

– მართლაც ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო პირველი დღე. 30 ოქტომბერს, დღის ბოლოს, აღფრთოვანებულმა ფეისბუქის გვერდზე დავწერე: *„პირველმა დღემ უკვე ჩაირა. გაცნობის და მოკლე საუბრების შემდეგ, საქართველოსა და ქართული ანბანის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ ბავშვებს. ჩემთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორი იქნებოდა ბავშვების დაინტერესება. აღმოჩნდა, რომ ისინი უფრო მეტადაც არიან დაინტერესებული, ვიდრე ველოდი. VI კლასში 12 მოსწავლეა, ხოლო V და VII შერეულ კლასში – 13...”*

ადრე ამ ბავშვებმა საქართველოს შესახებ არაფერი იცოდნენ, გარდა იმისა, რომ მათი წინაპრები ბათუმიდან არიან. პირველივე გაკვეთილზე ავუხსენი, რომ ჩვენი სამშობლო მარტო ბათუმი კი არა, მთელი საქართველოა. დღეს, უკვე, ჩემი მოსწავლეები ქართულად ძალიან ლამაზად წერენ და კითხულობენ. კარგად იციან, რომ მთელი საქართველო მათი სამშობლოა!

– როგორც ვიცი, ამ სოფლებში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ოჯახში ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე საუბრობენ, თუმცა ქართულად წერა-კითხვას ვერ ახერხებენ. ისინი ამბობენ, რომ თურქულ სკოლებში მშობლიური ენის სწავლებას საუკუნეებია ელოდნენ. როგორ აფასებენ ქართველი მუჰაჯირები პროგრამის დადებით მხარეებს და რა პრობლემებზე საუბრობენ?

– მართალი ბრძანდებით. ქართველი მუჰაჯირები საუკუნეების განმავლობაში საკუთარ ოჯახებში, ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობდნენ და, აქედან გამომდინარე, არ დავიწყებიათ მშობლიური ენა. უწინ, ჩვენი ბებია-ბაბუების დროს, ქართველი მხოლოდ ქართველზე ქორწინდებოდა. ამიტომ სახლში ხშირად ქართულად საუბრობდნენ და შესაბამისად, მათი ბავშვებიც ადვილად სწავლობდნენ ქართულს. ახლა ამ ტრადიციას აღარავინ იცავს. ქართველები თურქებზე ქორწინდებიან ან პირიქით. აქედან გამომდინარე, ოჯახებში ქართულად აღარ ლაპარაკობენ და შესაბამისად, ბავშვებიც ქართულს ვეღარ სწავლობენ. სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი თურქულ სკოლებში ქართული კლასების გახსნა.

– გაქვთ თუ არა მხარდაჭერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და აპირებს თუ არა ქართული მხარე სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინოებების მოწოდებას?

– სამწუხაროდ, ქართული მხარე დღემდე არანაირად არ დაგვხმარებია და არც არაფერი გადმოუციათ. სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, აპირებენ თუ არა ჩვენთვის რაიმე დახმარების გაწევას.



– გვიამბეთ თქვენი წინაპრების, წარმოშობლობის შესახებ...

– ჩემი წინაპრები აჭარიდან, კერძოდ, სოფელ მარადიდიდან, 135 წლის წინ დასახლებულან საქარიაში. დედაჩემი ლაზია. ჩვენი იქაური, ქართული, გვარი ზუსტად არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ქოლოტაშვილები ვართ.

– რა ასაკში ისწავლეთ ქართული ენა და ვინ იყო თქვენი პირველი „მასწავლებელი“?

– ჩემი ბებია ყოველთვის ქართულად საუბრობდა, თურქული ცოტა იცოდა. მე ხშირად ვიყავი მასთან და ქართული სიტყვები სწორედ მან მასწავლა. ის იყო ჩემი ქართული ენის პირველი „მასწავლებელი“. მოგვიანებით, თურქეთში გამოცემული ჟურნალი – „ჩვენებურები“ ჩამივარდა ხელში. სწორედ ამ ჟურნალში ვნახე პირველად ქართული ანბანი. მაშინ ქართული წერა არ ვიცოდი, ანბანის დახმარებით სახლში ვმეცადინეობდი, ჩემით ვისწავლე ქართული ასოების გამოყვანა. ამავე ჟურნალში დავიწყე ქართული სტატიების კითხვა. სწორედ იქ ამოვიკითხე ილია ჭავჭავაძის სიტყვები ჩვენებურებზე: *„...სად მიდიან ეს ადამიანები – მამების, დედების და ძმების სასაფლაოებს ტოვებენ და მიდიან...“* ჩემზე ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედა, მაშინ მივხვდი, თუ რა არის ქართველობა და საქართველოსთან კავშირი.

– რა არის ყველაზე ძვირფასი ქართული ნივთი, რომელსაც ოჯახში ინახავთ?

– სამწუხაროდ, ძალიან ბევრი, 135 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი წინაპრები საქართველოდან თურქეთში არიან მიგრირებული. ამიტომ, ოჯახში ქართული აღარაფერი შემოგვრჩა. თუმცა დაგვრჩა ყველაზე მთავარი – ჩვენი მშობლიური ენა – ქართული!

– მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

– ჩემი მომავლის გეგმები ქართული ენის სწავლებას უკავშირდება. ეს მხოლოდ დასაწყისია და ვიმედოვნებ, მომავალ წელს მარმარილოს ზღვის რეგიონში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში და ადგილობრივი ქართველებით დასახლებულ ართვინსა და მის შემოგარენშიც არა ერთი ქართული კლასი გაიხსნება. ჩემი მიზანია, რომ თურქეთელ ბავშვებს ვასწავლო მათი მშობლიური ენა, რათა არ დაივიწყონ სამშობლო – საქართველო!

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

ევროპული სტანდარტის ინფრასტრუქტურული პროექტი

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, 2010 წელს, სტრუქტურულად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში გაერთიანდა. ინსტიტუტის შენობასთან დაკავშირებით, ტექნიკურ უნივერსიტეტს, სამომავლოდ, სერიოზული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი გეგმები ჰქონდა, თუმცა, მაშინდელმა ხელისუფლებამ შენობა გაასხვისა და გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი შენობის გარეშე დატოვა. რამდენიმე წლის განმავლობაში მეცნიერები სხვადასხვა უნივერსიტეტებში ახორციელებდნენ კვლევებს და, პარალელურად, აგრძელებდნენ ბრძოლას შენობის დასაბრუნებლად.

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, **ვახტანგ კვარაცხელიას** განცხადებით**:**

„მას შემდეგ, რაც ჩვენი შენობა გაიყიდა, ყველა ლეგალური გზით ვცადეთ მისი დაბრუნება, მაგრამ ვერ დავიბრუნეთ. სწორედ ამ დროს ვიგრძენით ხელისუფლების, მთავრობის მძლავრი მხარდაჭერა. აუცილებლად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის ძალისხმევა.“

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით, ინსტიტუტს ახალი ტერიტორია და შენობა გადაეცა და გამოიყო სოლიდური დაფინანსება ევროპული სტანდარტის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ შენობაში, რამდენიმე თვეში, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი და ბირთვული ინჟინერიის ცენტრი განთავსდება, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიის მიმართულებით იმუშავებს და აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით.

განათლების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორებთან ერთად, დაათვალიერა შენობა, რომლის რეაბილიტაციაც იწყება. რამდენიმე თვეში ინსტიტუტი ფუნქციონირებას განაახლებს.

თამარ სანიკიძე: *„შენობის რეაბილიტაცია უკვე იწყება, ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა და მასალაა იმისთვის, რომ მიზანი შერულდეს– მოეწყოს ისეთი თანამედროვე ცენტრი, რომელიც მოიზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მეცნიერებს. დაწესებულებას ამის პოტენციალიც აქვს და, რა თქმა უნდა, ადამიანური რესურსიც. ძალიან ბევრი ახალგაზრდაა ჩართული, რომლებიც ცერნში გაივლიან გადამზადებას და დაუბრუნდებიან სამუშაო ადგილებს. მინდა მათ წარმატება ვუსურვო სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში“.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, CERN-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ასევე მოაწყობს თანამედროვე კომპიუტერულ სისტემას – Grid Cluster, რომლის რესურსები გამოყენებული იქნება როგორც ადგილობრივი ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე CERN-ის მიერ, როგორც მისი სისტემის შემადგენელი ნაწილი. Grid და Cloud-ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულებულ მაღალი დონის სამუშაოებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის რეაბილიტაცია და აღჭურვა იმ მასშტაბური პროექტის ნაწილია, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მეცნიერების განვითარების მიმართულებით ახორციელებს, შედეგად კი – პირველად საქართველოში, კვლევებისა და სწავლების ერთიანი სისტემა ამოქმედდება, შესაბამისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში თანასწორუფლებიან წევრად ინტეგრაციას.

ბექა რკოიკაშვილი, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელი: *„საქართველოს მხრიდან, უპრეცედენტო ტექნიკური სვლაა, მსგავსი მასშტაბის პროექტი არ განხორციელებულა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ბევრი წამყვანი ქვეყანა, უკვე დიდი ხანია, აქტიურად იყენებს კლასტერს ყოველდღიურ ცხოვრებაში – საკმაოდ რთული ამოცანების ამოხსნისა და გარკვეული ტიპის პრობლემების გადასაწყვეტად. საქართველოც ეცდება ამ კუთხით მის გამოყენებას. რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ქართველი სტუდენტების ჩართულობას ამ პროექტში.“*

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან გამოთვლითი კლასტერი დაიდგმება, რომელიც, იმედია, მომავალი წლის დასაწყისიდან ამოქმედდება. რაც შეეხება ინსტიტუტს, რა თქმა უნდა, ახლაც აგრძელებს ფუნქციონირებას, მაგრამ ამ შენობაში ჩვენი გადმოსვლა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე იგეგმება“ – აცხადებს ინსტიტუტის დირექტორი.

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე, შესაძლებელია ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის:

- *კლიმატის მოდელირება.* კატასტროფული ეკოლოგიური პროცესების (შავი ზღვის სანაპირო ზოლის განადგურება, წყალსაცავების დაბინძურება, კაშხლების ნგრევა და სხვ.) მათემატიკური და კომპიუტერული მოდელების აგება და შესწავლა;
- *ქვეყნის უსაფრთხოებასა და ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები.* ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მრავალვარიანტული სიტუაციების ანალიზი;
- *განათლების სფეროს კომპიუტერული მომსახურება.* სამეცნიერო გათვლები, განაწილებულ მონაცემთა ბაზები და მათი მართვა;
- *ეკონომიკური პროცესების შესწავლა მათემატიკური მოდელირების გამოყენებით* და ამ პროცესების ოპტიმიზაციის პრობლემების ანალიზი.
- *სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების რეგულირება.* ქვეყნის აგრარული განვითარების და ენერგეტიკული უსაფრთხოების კომპიუტერული მოდელირება. ტექნოლოგიური პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება;
- *სამედიცინო მომსახურება (Grid-მედიცინა)*, გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი კლინიკური სისტემა.
- *დემოგრაფიული პრობლემების ანალიზი* მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების საშუალებით და სხვ.

კითხვის გაკვეთილები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2014-2015 სასწავლო წლიდან, აუცილებელი მოთხოვნაა, დაწყებით კლასებში (II-IV კლასები), სადამრიგებლო საათის ფარგლებში, არანაკლებ კვირაში ერთხელ, ჩატარდეს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- ✓კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ✓წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- ✓ანალიზის უნარის განვითარებით;
- ✓მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ✓პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ✓შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

კითხვის გაკვეთილების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მისი ასაკის შესაფერისი სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრება. წინამდებარე სამუშაო რვეული განსხვავებულ ტექსტებზე მუშაობის საშუალებას იძლევა და შედგება ხუთი კარისაგან:

პირველი კარი – წაკითხული ზღაპრის გააზრება;

მეორე კარი – წაკითხული მოთხრობის გააზრება;

მესამე კარი – წაკითხული ლექსის გააზრება;

მეოთხე კარი – რეკომენდებული ლიტერატურა;

მეხუთე კარი – მეთოდური რეკომენდაციები.

პროექტის ავტორი – მანანა ბოჭორიშვილი

მადლობას ვუხდით სკოლა „ცისკარის“ დაწყებითი კლასების კათედრას სავარჯიშოების პილოტირების პროცესში მონაწილეობისათვის

რვეულის „კითხვის გაკვეთილები“ შეძენა შეგიძლიათ:
გამომცემლობა „უსტარის“ ოფისში, წინამძღვრიშვილის N119, ტელ: 2 964081;
წიგნის მაღაზიაში – თბილისი, დადიანის N43 (გადასასვლელ ხიდთან);
ბათუმი, ჯავახიშვილის N43.
დიდი რაოდენობის (არანაკლები 30 ცალის) შეძენის სურვილის შემთხვევაში,
დაუკავშირდით გაყიდვების მენეჯერს – გელა ჯაიანს,
მობ.: 500 736996, ელფოსტა: sales.ustari@gmail.com და გამოგიგზავნით ადგილზე.

ინფორმაცია

„საცა არ მიხნავს ძმობილო, იქ ვმკო, ეგ სადაურია!“

ამ დღეებში მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს ორგანიზაციამ (საპატიო თავმჯდომარე – **ვანო ნატროშვილი**) შეხვედრა მოუწყო დედოფლისწყაროელ ქალბატონებს, რომელთა უმრავლესობას პედაგოგები წარმოადგენდნენ, ბენაურის კერძო სკოლაში (დირექტორი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ცაცა ბენაშვილი**), სპეციალური მოწვევით, ამ ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორს **მაია სიმონიძეს** და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელს **თამარ ხითარიშვილს**. ვინაიდან სამუშაო დღე იყო, მათი დასწრება ვერ მოხერხდა. გადავწყვიტე თავად ჩავსულიყავი სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში და მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის პირადად მიმელოცა ქალთა დღესასწაულები მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის სახელით.

მეგზურობა თავად სკოლის დირექტორმა მაია სიმონიძემ გამიწია. დედის დღის აღსანიშნავად, პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, მოსწავლეებმა სპეციალური კედლის გაზეთი გამოუშვეს და კონკურსი ჩაატარეს. კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, იმდენად ორიგინალური და თემატურად საინტერესო იყო თითოეული კლასის მიერ გამოშვებული კედლის გაზეთი, რომ ყველა გამარჯვებული გამოვიდა სხვადასხვა ნომინაციებში. ასევე გაზაფხულის შემობრძანებას მიეძღვნა საგაზაფხულო გამოფენა. საკლასო ოთახის კედლებს ფერადი ფანქრებით შესრულებული ნახატები ამშვენებდა. მოვიხიბლე ბავშვების ფანტაზიით, გააზრებული კომპოზიციებით, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის სასწავლო ნაწილის გამგეს **მარინე მნათობიშვილს** და ყველა კლასის ხელმძღვანელს.

დირექციის ნებართვით XI კლასში გაკვეთლზე დავესწარი ქალბატონ თამარ ხითარიშვილს. გაკვეთილის თემა ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ იყო. არავითარ ძალას არ შეუძლია ადამიანის გაკეთილშობილება იმდენად, რამდენადაც ხელოვნებას. იყო კარგი მასწავლებელი და ეზიარო ღმერთთან შეთანხმებულ ურთულეს პროფესიას, ეს დიდი ხელოვნებაა.

თამარ მასწავლებელმა თავისი წარმტაცი, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვებით, პოეზიის დიდი სიყვარულითა და ბუმბერაზი ვაჟას ქმნილებით გაარღვია მოსწავლეთა ფაქიზი სული, ღრმად შეიჭრა მათ სამყაროში და იმ ნავსაყუდართან შეჩერდა, რომლის შესასვლელშიც მთის არწივის უკვდავი სტრიქონები უნდა განელაგებინა: *„საცა არ მიხნავს, ძმობილო, იქ ვმკო, ეგ სადაურია!“*, *„ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი, გავინაწილოთ სწორადა“*, *„ეს ერთი ცნობა, ხვალ – ძმობა, ერთად შევთვისდეთ სულითა“*, *„დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“*...

მოსწავლეები – **ქეთი უსტარაშვილი**, **თამუნა ანთაური**, **ანა არაბული**, **სალომე აფციაური** და სხვები – ერთმანეთს ცვლიდნენ, აზროვნებდნენ, მსჯელობდნენ, იხილავდნენ, ასკვნიდნენ: ვაჟა დიდი ტალანტია, მის ოცნებას საზღვარი არა აქვს, ის სივრცით არ გაიზომება, დროში არ გამოიხატება...

თამარ მასწავლებელმა შეძლო აღსაზრდელებამდე მიეტანა ბუნების მესაიდუმლის, დიდი პოეტის ღრმა გრძნობა, მხატვრული ენა, ცაში მონავარდე ოცნება...

გავიდა 45 წუთი, ზარი დაირეკა, გული დამწყდა, ასე არასდროს მიგრძვნია დროის უსწრაფესი სვლა.

ნანა ჭიჭინაძე
ილია ჭავჭავაძის სახელობის
მწიგნობართა ასოციაციის
დედოფლისწყაროს ორგანიზაციის
თავმჯდომარის მოადგილე

სასკოლო აქტივობა

ბუნების დაცვის პროპაგანდა ბიოლოგიის გაკვეთილზე

კაცობრიობა შეუმჩნევლად მიუახლოვდა კრიტიკულ ზღვარს, როდესაც ბუნებაში ყოველგვარ ჩარევას წინ უნდა უსწრებდეს ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი იმისა, თუ რამდენად სწორია არჩეული მიმართულება, რა გზებით და რის ფასად უნდა იქნეს მიღწეული მიზანი. ბუნებისადმი, მისი რესურსებისადმი მტაცებლური, მტრული დამოკიდებულება შეიძლება უფსკრულის პირზე მოსიარულე ბრმას შევადაროთ. თითოეული ჩვენგანის ვალი კი ის არის, ავუხილოთ თვალი ბრმას, დავანახოთ ის მშვენიერება, რომელსაც დაცვა-შენარჩუნება ესაჭიროება, შევაგნებინოთ, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს და თითოეულმა წვლილი შევიტანოთ იმ გრანდიოზულ საქმეში, რასაც ბუნებასთან ადამიანის ჰარმონიული დამოკიდებულება ჰქვია.

ბუნებამ ბევრჯერ მწარე გაკვეთილი ჩაგვიტარა და შეგვახსენა, რომ მასთან ხუმრობა არ შეიძლება. ადამიანი ბუნების გვირგვინია და არა მისი მბრძანებელი. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეთა ეკოლოგიურ განათლებას, ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებას.

თემის – *„ბიოსფეროს ევოლუცია, ბუნებრივ კანონზომიერებათა დარღვევა ადამიანის შრომა-საქმიანობის შედეგად“* – განხილვისას ბავშვებს ვესაუბრები, რომ ბუნებასთან სათუთი დამოკიდებულება გვმართებს. ვახსენებ, რომ 1986 წელს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონს დიდი ტრაგედია დაატყდა, ზვავის სახით, რომლის საზარელი შედეგების სალიკვიდაციოდ მთელი საქართველო დადგა ფეხზე. რაც თეთრ სტიქიონს გადაურჩა, წყალდიდობამ გაანადგურა, რომელიც საშინელი ძალით დაატყდა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს.

სტიქიის ჩაწყნარების შემდეგ შესწავლილ იქნა მიზეზები, გაკეთდა დასკვნები და აღმოჩნდა, რომ, ნაწილობრივ მაინც, შეიძლებოდა სტიქიის თავიდან აცილება, თუ ნაკლებად გაიჩეხებოდა ტყეები. ბავშვებს განვუმარტავ, რომ ბუნების დაცვა მცენარეთა ცალკეული სახეობების, ცხოველთა ნაირგვარობის ან დედამიწის რელიეფის უბრალო მოფრთხილება კი არ არის, ბუნების გონივრული გამოყენებაა.

თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარება სათანადო ეკოლოგიურ ცოდნას მოითხოვს. ყველა მეურნე ვალდებულია, იცოდეს წესები, რომლებიც ეხება მიწის სწორ გამოყენებას, ბუნების დაცვას. ყველას უნდა შეეძლოს შხამქიმიკატების, მინერალური სასუქის, სოფლის მეურნეობის ტექნიკის გამოყენებით მიღებული შედეგების განჭვრეტა. მოსწავლეთა ეკოლოგიური მომზადების პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი. მოგითხრობთ ზოგიერთ მათგანზე.

თემა – *„ბუნების დაცვა მინერალური სასუქების გამოყენების დროს“* – შეიძლება წარვმართოთ შემდეგი გეგმით: მინერალური სასუქების სახეები; მათი ნიადაგში შეტანის პროგრესული მეთოდები; მინერალური სასუქების შესატანი აგრეგატები; ნორმების დაცვა; მათი მიტანის დროები და წესები.

მოსწავლეებთან საუბრის დროს აუცილებელია ადრე მიღებული ცოდნის გამოკითხვა. მათ შეიძლება შევთავაზოთ შემდეგი კითხვები:

1. როგორი უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ადამიანზე და ცხოველზე მინერალური სასუქების არანორმირებულმა შეტანამ?
2. რომელი მინერალური სასუქი გამოიყენება ჩვენს ტერიტორიაზე?
3. სწორად ამზადებენ თუ არა შესატანად მინერალურ სასუქებს?
4. როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სასუქის არათანაბარ შეტანას?
5. შეგხვედრიათ თუ არა ასეთი ფაქტები?
6. დაცულია თუ არა სასუქებთან მუშაობის დროს უსაფრთხოების ტექნიკის წესები?

მოსწავლეებმა უნდა შეავსონ შემდეგი ცხრილი:

	ბიოსფეროს ელემენტები	ჭარბი მინერალური სასუქის შეტანით გამოწვეული შედეგები
1	ნიადაგი	
2	მცენარეები და ცხოველები	
3	წყალი	
4	სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახეები	

ასეთივე ცხრილი შეიძლება შეივსოს აგრეთვე ჰერბიციდებზე და პესტიციდებზე დაკვირვების დროს.

სასარგებლოა მოსწავლეებს შევთავაზოთ, დაასახელონ სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებთან ბრძოლის მეთოდები: აგროტექნიკური, ქიმიური, ბიოლოგიური. მოსწავლეთა ეკოლოგიური ცოდნის გამოვლენაში გვეხმარება, აგრეთვე, კითხვები თემისთვის – *„ბუნების დაცვა შხამქიმიკატებთან მუშაობის პროცესში“*:

1. რომელი წესები უნდა დავიცვათ შხამქიმიკატებთან მუშაობის დროს და მისი შენახვის პროცესში?
2. როგორი შედეგი მოაქვს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას და შეიძლება თუ არა გავიდეთ ფონს მის გარეშე?
3. შევადგინოთ პესტიციდების გადაადგილების სქემა ნიადაგის გარემომცველ გარემოში. მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების გამოყენებას უარყოფითი მხარეებიც აქვს – ცუდად მოქმედებს ნიადაგზე, წყალზე, ჰაერზე, იწვევს ცხოველთა სიკვდილიანობას, აჭუჭყიანებს ჰაერს გამონაბოლქვით.

როდესაც ვსაუბრობ თემაზე – *„ბუნების დაცვა და ნიადაგის მელიორაცია“*, ბავშვებს ვუსვამ კითხვებს:

1. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ჩვენს რაიონში მელიორაციული სამუშაოების ჩატარება?
2. მიწის რომელი სახის მორწყვამ შეიძლება გამოიწვიოს მდინარეების დაბინძურება?
3. როგორ ბინძურდება წყალი, ჰაერი და ნიადაგი მეღორეობის და მეფრინველეობის ნარჩენებით?
4. სად ჩაედინება დაბინძურებული წყლები?
5. როგორ გამოვრიცხოთ წყალსატევების დაბინძურება ნარჩენი წყლებით?

მოსწავლეებს შევთავაზოთ დისკუსია თემაზე, რომელიც შეიძლება ჩატარდეს პლაკატებით გაფორმებულ კაბინეტში. მისი ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 45 წუთი. დაფაზე დაიწერება სადისკუსიო თემის სათაური – *„შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების გავლენა ნიადაგზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე“* ან *„სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის გავლენა წყალსატევების ბიოლოგიურ მდგომარეობაზე“* და სხვ. ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოვიყენოთ ფაქტობრივი მასალა, რომელიც იბეჭდება პრესაში, მათ შორის ადგილობრივშიც. ვიძლევი მცირე ახსნა-განმარტებას თემის ირგვლივ. დისკუსიის დროს მსჯელობას წარვმართავ ძირითადი თემის ირგვლივ, ვაკეთებ ძირითად დასკვნებს, განვასხვავებ ახალ ამბებს იმისგან, რაც უკვე მოისმინეს.

ასეთი განხილვები აღრმავებს მოსწავლეთა ეკოლოგიურ ცოდნას. ეკოლოგიურ განათლებაში დიდ როლს თამაშობს მხედველობითი მეთოდები: სქემები, ცხრილები, პლაკატები. ბევრი მათგანი მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარი ძალებით დაამზადონ: „სოფლის მეურნეობის საშუალებების გავლენა ნიადაგის ეროზიის დაჩქარებაში“; „სოფლის მეურნეობის გავლენა ირგვლივ მყოფ გარემოზე“; „შხამქიმიკატების და მინერალური სასუქების გავლენა ნიადაგზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე“; „სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის გავლენა წყალსატევების ბიოლოგიურ მდგომარეობაზე“. კაბინეტში ან დერეფანში შეიძლება გავაკრათ პლაკატები: „დაიმახსოვრე, ძველი ქაღალდი მიწაზე დევს 2 წელი, პოლიეთილენის პაკეტი – 10-15 წელი“; „დაიმახსოვრე, 5გრ საწვავი ირგვლივ, 50კვ.მ-ის რადიუსში, კლავს ყველა ცოცხალ ორგანიზმს“; „კონსერვის ქილა საშიშია ცხოველებისათვის“; „გაუფრთხილდი ხეს“; „დარგე ხე“; „1 ტონა მაკულატურა დაზოგავს 8-10 დიდ ხეს“.

ლიანა ოქრომჭედლიშვილი
საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის
საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

მოსწავლე შემოქმედი

ვუდრო ვილსონი – მხსნელი, რომელიც ისევ ვერ იცნეს?!

ნატო აბესაძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურას საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე
ინგლისური ენის მასწავლებელი – ქეთევან ჟორჟოლიანი

ვინ იყო ვუდრო ვილსონი? მეოცნებე, რომელსაც ვერ გაუგეს? მეტისმეტად იდეალისტი, მაშინდელ მსოფლიოში შექმნილი ვითარების ფონზე?

1918 წელია... კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უდიდესი ცოდვა – პირველი მსოფლიო ომი დამთავრებულია ათი მილიონი დაღუპულით, ოცი მილიონი დაჭრილით, დასახიჩრებულით, მოწამლულით.

ახლა ევროპის ქვეყნებს ერთი მიზანი აქვთ: დამარცხებული გერმანიის უკიდურესად დამცირება. საინტერესოა, რას ამბობენ ამ ქვეყნების ლიდერები: *„გადმოვუბრუნოთ ჯიბეები ბოშებს“* – ეს კლემანსოა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, ბოშებად გერმანელებს მოიხსენიებს.

„ეს ომი გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით. ისინი ყველანი უნდა დაისაჯონ ამისათვის“ – ეს კი უინსტონ ჩერჩილია, დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრი. თუმცა, მათ არ იციან, რომ თუ საწამლავს დათესავ, ლენცოფა ამოვა, მათი ლოზუნგები გვაგონებენ ფრაზას – „კბილი კბილის წილ“... ეს ფრაზა კი ძალიან შორსაა ჰუმანური და კეთილგონიერი ქრისტიანული რელიგიისგან.

განსხვავებულად აზროვნებს მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტი, ვუდრო ვილსონი, ადამიანი შორსმჭვრეტელი, მშვიდი გამომეტყველებით. მას სავსებით პაციფისტური, ძალაზე დაფუძნებული ევროპული პოლიტიკისგან შორს მდგომი, გეგმა აქვს. სჯერა, თუ გერმანელებს უსამართლოდ მოექცევიან, ისინი აუცილებლად იფიქრებენ შურისძიებაზე, ჰპირდება გერმანელებს, რომ მოლაპარაკებები არ იქნება ძალიან მძიმე. მან წარადგინა მშვიდობიანი თოთხმეტი პუნქტი, რომლის იდეებიც, ალბათ, მაშინაც ოცნება იყო და დღესაც, თანამედროვე მსოფლიოშიც, ნაწილობრივ, განუხორციელებელი დარჩა.

პუნქტების ძირითადი იდეა კი ასეთი იყო: მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური ხელშეწყობა; ქვეყნების შეიარაღების შეზღუდვა: *„არცერთი სახელმწიფოს შეიარაღებულმა ძალამ არ უნდა მიაღწიოს სხვებისთვის სახიფათო დონეს“*; ერთა თვითგამორკვევის უფლება; მსოფლიო ერების მშვიდობიანი თანაცხოვრება.

არანაკლებ საინტერესოა, რას წერს ამაზე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო: *„ბატონი ვილსონი თავს მაბეზრებს თავისი თოთხმეტი პუნქტით, როცა თვით ყოვლისშემძლე უფალიც კი ათით კმაყოფილდება“.*

რამხელა სარკაზმია ამ სიტყვებში!

საქმე დამთავრდა. საყურადღებოა ხელშეკრულების 231-ე პარაგრაფი, ომის გაჩაღებაში დამნაშავედ მხოლოდ გერმანიას რომ აცხადებს. გერმანიის მხარეს მხოლოდ ხელმოწერისას გააცნეს ხელშეკრულება.

შთაბეჭდილება უმძიმესი იყო.

გაწბილებული დარჩა ვილსონიც... აგრესიულმა მსოფლიომ არ მიიღო ადამიანების სიკეთისთვის შექმნილი თოთხმეტი პუნქტი...

გეუფლება გრძნობა, რომ ეს ადამიანი „მეტისმეტი“ მშვიდობისკენ ისწრაფვოდა და მეტისმეტი ჰუმანიზმის გამო (თუ შეიძლება ჰუმანიზმი მეტისმეტი იყოს) ხშირად საკუთარი ხალხი და სენატიც არ უჭერდა მხარს.

მნიშვნელოვანია, რომ ვილსონი თეთრგვარდიელებს ეხმარებოდა და ამით ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირის შექმნას.

ეს ვუდრო ვილსონს უნდოდა სომხეთზე მანდატის აღება იმ სამწლიან მყიფე შუალედში, საქართველოს რომ ჰქონდა 1918 წლიდან 1921 წლამდე... ვინ იცის, სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაზე მანდატის აღება მეორე ქვეყნის კეთილდღეობასაც განაპირობებდა და ეს სისხლიანი 1921-იც ამოიშლებოდა საქართველოს ისტორიიდან.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვილსონს არ დაუჯერეს. სენატმა მის გადაწყვეტილებას ვეტო, უკვე მეორედ, მაშინ დაადო, მშვიდობიანი ტურნე რომ მოაწყო ამერიკაში, ერთა ლიგაში გაწევრიანების სისწორეში დასარწმუნებლად.

მაშინ იგი ამბობდა: *„გავბედოთ ამის უარყოფა და გავუტეხოთ გული მსოფლიოს?“* („Dare we reject it and break the heart of world?“)

ამ უშედეგო ტურნეში მას დამბლა დაეცა და ვაშინგტონში დააბრუნეს, იქ კი ავადმყოფმა თქვა: *„ჩვენ მოწმენი გავხდებით ამ ამბის ტრაგიკული შედეგებისა“.*

მისი სიტყვები ახდა... ვერსალის ზავის მძიმე და უსამართლო პირობები მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდა... რევანში კი წარმოუდგენლად საშინელი იყო – ნაცისტების მიზანთროპული ბრძოლა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ.

შემთხვევითი როდია, რომ ჰიტლერმა სწორედ იმ კომპიენის ტყეში და იმ მარშალ ფოშის ვაგონში გადაუხადა სამაგიერო საფრანგეთს, კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერით, სადაც პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ფრანგებმა მოაწერინეს ხელი გერმანელებს კაპიტულაციის აქტზე.

დაბოლოს, ვინ იყო ვუდრო ვილსონი, მეოცნებე და მეტისმეტად იდეალისტი?

თუ, როგორც ბოლშევიკები ამბობდნენ, მისი „ფარისევლური თოთხმეტი პუნქტი“ მხოლოდ ამერიკის განდიდებას ემსახურებოდა?

არ უარვყოფ, რომ ყველა თეთრში არის მცირეოდენი შავიც, მაგრამ, ამასთანავე, ფაქტია, რომ ვილსონმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ისტორიაში თავისი თოთხმეტი პუნქტით, რომელსაც მე განუხორციელებელ მშვიდობას ვუწოდებდი.

ინფორმაცია

ახალი სამაგისტრო პროგრამა

ლალი ჯელაძე

სექტემბრიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება. ადიქტოლოგია არის მეცნიერება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე – ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, თამბაქოზე, საკვებზე, ინტერნეტზე, აზარტულ თამაშებსა და სხვ., რომელიც მსოფლიოშიც და საქართველოშიც მზარდი და, გარკვეულწილად, ახალი და აქტუალური დარგია. ადიქციის კვლევების/ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა ჩეხეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით და ხორციელდება პრაღის (ჩეხეთის) ჩარლზის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ, უპასუხონ ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებასთან და სხვა დამოკიდებულებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და იმუშაონ შემდეგ საკითხებზე: ადიქციის დარგში კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, ნარკოვითარების მონიტორინგი, ნარკოპოლიტიკისა და ნარკოსტრატეგიის განსაზღვრა, ადიქტოლოგიური სერვისის (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია,ზიანის შემცირება) დაგეგმარება და მართვა.

ადიქტოლოგიის მაგისტრებს შეუძლიათ დასაქმდნენ: საჯარო, აკადემიურ და არასამთავრობო სექტორის დაწესებულებებში, სამეცნიერო კვლევების, ნარკოვითარების მონიტორინგის, ნარკოპოლიტიკის/სტრატეგიისა და კოორდინაციის, ნარკოლოგიური მკურნალობის/რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების დარგებში: განათლების, თავდაცვის, სასჯელაღსრულების სისტემების პრევენციულ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სამსახურებში; სამართალდამცავი სისტემის ანალიტიკურ სამსახურებში: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სოციალური ზრუნვისა და დაცვის სამსახურებში. სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეეძლება ნებისმიერ ბაკალავრს.

ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ამბობს რომ: *„სპეციალურად არ შევზღუდეთ ბაკალავრების სფერო, რადგან თვითონ პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს სპეციალობა იმდენად კომპლექსურია, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები ერთ გუნდში, ერთ ჯგუფში უნდა მუშაობდნენ, რადგან ერთი სპეციალობის კუთხით მისი გადაჭრა შეუძლებელია. საერთოდ, ასეთი ტიპის სერიოზულ პრობლემებს ერთი სპეციალობის ადამიანი ვერ გადაჭრის, მაგალითად, მხოლოდ ექიმი, რადგან მას სხვადასხვა მიმართულებით სჭირდება მიდგომა. რაც შეეხება მიღებას, როგორც ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე, ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზეც ერთიანი ეროვნული გამოცდა უნდა ჩაბარდეს – A ტიპის ტესტი, შემდეგ კი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – ესე და გასაუბრება“.*

უნივერსიტეტი, პირველ ეტაპზე, დაახლოებით, 15 სტუდენტის მიღებას გეგმავს.

ჯანა ჯავახიშვილი, ადიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი**:** *„ჩვენ ველოდებით ფსიქოლოგებსაც, ველოდებით იმ ადამიანებს, ვისაც უნდა, საჯარო სამსახურში გადაწყვეტილებების მიღებასა და სხვადასხვა დარგის პოლიტიკასა და სტრატეგიებზე იმუშაოს; ველოდებით სოციალურ მუშაკებს, ეკონომისტებს, რომლებსაც აინტერესებთ, იკვლიონ ადიქტოლოგია. პრინციპში, ეს არის მულტიდისციპლინური მეცნიერება დამოკიდებულების შესახებ და შესაძლებელია, ამ პროფესიის ადამიანმა, ვთქვათ, იმუშაოს სკოლაში და კარგი ადმინისტრატორი იყოს, განსაზღვროს სკოლის პოლიტიკა არა მარტო დამოკიდებულების დარგში, არამედ, საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანსაღი ფასეულობების აღზრდის მიმართულებით. ადიქტოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე ადამიანს შეუძლია, ასევე, იმუშაოს სამინისტროებში, მაგალითად, იუსტიციის სამინისტროში, რომელსაც წამყვანი როლი აქვს ნარკოპოლიტიკის და ნარკოსტრატეგიის კოორდინირების საქმეში, ასევე ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრში, რომელიც უწყებათაშორისია და ახლა დაარსდა ჩვენს ქვეყანაში; ასევე, მას შეუძლია იმუშაოს ფსიქოლოგ კონსულტანტად ან ფსიქოთერაპევტად, რომელიც პაციენტებთან დამოკიდებულების გადასალახავად მუშაობს. მოკლედ, დიდი ასპარეზია და კიდევ, ექიმ-ნარკოლოგებსაც ველოდებით, რასაკვირველია, იმიტომ, რომ, ტრადიციულად, დამოკიდებულების მკურნალობა ნარკოლოგების კომპეტენციად ითვლება ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ვცდილობთ, გავაფართოვოთ ეს წრე და ვაჩვენოთ, რომ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ საქმეში, რასაკვირველია, ექიმიც გუნდშია“.*

როგორც აღვნიშნეთ, ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა საქართველოში, პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტის პროექტის მიხედვით მიმდინარეობს. ეს იდეა რამდენიმე წლის წინ დაიბადა. დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯია“ დირექტორის **დავით ოთიაშვილის** განცხადებით: *„გავაკეთეთ შეფასება განათლების საჭიროებების მიხედვით და ზუსტად დავინახეთ, კონკრეტულად, რა პრობლემები არსებობდა ამ მიმართულებით. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში, მხოლოდ ექიმი ნარკოლოგები მზადდებიან, რომლებსაც ასწავლიან, როგორ უმკურნალონ სხვადასხვა მედიკამენტებით ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებს. რაც შეეხება დარგში მომუშავე სხვა სპეციალობის წარმომადგენლებს – ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს და სხვ. – ვერანაირ პროფესიულ განათლებას და ცოდნას ვერ ღებულობენ. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ადიქტოლოგიის დანერგვა – კვალიფიციური ცოდნის მიღების უზარმაზარი საჭიროება არსებობს და პროექტიც სწორედ ამ დეფიციტის აღმოფხვრას ემსახურება. ჩეხ კოლეგებთან, ასევე გერმანელ, პოლონელ და ამერიკელ კოლეგებთან ერთად, დავიწყეთ იმ ადამიანების მომზადება, რომლებიც მომავალში ლექტორები უნდა გამხდარიყვნენ. 4 წელია ეს პროცესი მიმდინარეობს, ჩატარდა რამდენიმე ძალიან სერიოზული ტრენინგი და დღეს საქართველოში ჩამოყალიბებულია, დაახლოებით, 20-კაციანი გუნდი. ისინი, ამ 4 წლის განმავლობაში, უცხოელ წამყვან სპეციალისტებთან მოემზადნენ და მზად არიან, ქართველ სტუდენტებს უახლეს მეცნიერებაზე დაფუძნებული ცოდნა და უნარები გადასცენ.“*

რამდენად წარმატებულია პროგრამა ჩეხეთში, ამის შესახებ ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ნარკოპოლიტიკის დარგში **ტომაშ ზამბრანსკი** ამბობს: *„XXI საუკუნის დასაწყისში დავიწყეთ მუშაობა ადიქციის კვლევების მულტიდისციპლინარულ მიდგომებზე და 2005 წელს, ჩარლზის უნივერსიტეტში, სამაგისტრო პროგრამა გაიხსნა. ფაქტობრივად, ეს ახალი დისციპლინაა და ჩარლზის უნივერსიტეტი პიონერია ამ დარგში. ჩვენ ვიმუშავეთ იმაზე, რომ მხოლოდ სამედიცინო პრეროგატივად განხილული საკითხი, რომელიც ეფექტურად ვერ მუშაობდა, მულტიდისციპლინური მიდგომით გადაგვეჭრა. ვფიქრობთ, გამოგვივიდა.“*

ჯანა ჯავახიშვილი: *„ჩვენთან რამდენიმე კარგი ორგანიზაცია მუშაობს, მათგან ერთ-ერთი – არტთერაპიის მიმართულებით. არტთერაპია ძალიან მნიშვნელოვანია დამოკიდებულებასთან მუშაობაში, საერთოდ, ფსიქოლოგიური კომპონენტი უმნიშვნელოვანესია დამოკიდებულების გადასალახავად. მაგრამ არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც საერთოდ არ გვაქვს ქვეყანაში – სოციალური რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია. ფაქტობრივად, არ გვაქვს დასავლური პრაქტიკის მქონე ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრები.*

კიდევ ერთი რამ, რისი თქმაც მინდა – მკურნალობის პარალელურად, აუცილებელია სწორი დამოკიდებულების ქონა წამალდამოკიდებული ადამიანის ან, საერთოდ, წამლის მოხმარების მიმართ. ჩემთვის ჩეხეთის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ მასში განათლების კარგი მექანიზმი დევს, რომლის დანერგვასაც ახლა ვცდილობთ, არამედ იმითაც, რომ სწორი ნარკოპოლიტიკა აქვთ. ადიქტოლოგების ახალგაზრდა გუნდი მუშაობს, რომლის ხელმძღვანელი ბატონი ტომაშია, ის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახლავთ ამ დარგში. ამ გუნდმა შეძლო ქვეყნის ნარკოპოლიტიკის შეცვლა, დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში. აი, ეს შეუძლია სწორ განათლებას – სწორად ააწყოს ქვეყნის ნარკოპოლიტიკა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს საზოგადოებაც და ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანიც.

ჩეხეთმა, 10 წელიწადში, ფაქტობრივად, რევოლუცია მოახდინა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ისეთ თაობას გავზრდით, რომელიც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, პრაგმატული და უფრო ეფექტური ნაკროპოლიტიკის შექმნას შეძლებს.“

ილიას უნივერსიტეტი განსაკუთრებით მოტივირებულ და წარჩინებულ სტუდენტებს, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტის ადიქტოლოგიის კათედრაზე არსებული ადიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის საშუალებას მისცემს.

გამოცდილების გაზიარება

პროექტი – მოსწავლეთა სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარების ეფექტური საშუალება

დასასრული. დასაწყისი იხ. №11

გაკვეთილის გეგმის მოკლე აღწერა

საგანი – რუსული ენა
კლასი – XI

1. სახელი და გვარი	ტარიელ კალანდაძე
2. თემის სახელწოდება	მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი. პოემა „მწირი“ სიტყვის ანალიზიდან ტექსტის ანალიზამდე
3. გაკვეთილის სასწავლო მიზნები	უცხ XII. 4. მოსწავლე იგებს შემეცნებითი ხასიათის ტექსტს სხვადასხვა თემაზე (ისტორიის, კულტურის, საბუნებისმეტყველო სფეროებიდან). უცხ XII. 9. მოსწავლე იყენებს ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიებს. უცხ XII. 15. მოსწავლე განსაზღვრავს კითხვის მიზანს და შესაბამისად იყენებს კითხვის სხვადასხვა სახეობას (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი). უცხ XII. 19. მოსწავლე გადმოსცემს საკუთარ და სხვის შეხედულებას. უცხ XII. 22. მოსწავლე ხვეწს შეფასების უნარს. უცხ XII. 24. მოსწავლე ტოლერანტულია კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ.
4. სწავლის შედეგები	შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: 1. ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს; 2. ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას; 3. საუბრის დაწყებამდე თავს უყრის აუცილებელ რესურსებს; 4. ხვდება და ასწორებს საკუთარ/სხვის შეცდომებს; 5. გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას და განმარტავს მას; 6. პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს მაგალითი; 7. გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ სხვადასხვა ელემენტების მოშველიებით (სათაური, ქვესათაური, ილუსტრაცია, აბზაცების დასაწყისი, ერთ-ერთი აბზაცი, გამოყოფილი სიტყვები); 8. მონაწილეობს თანაშეფასებებში და მასწავლებელთან ერთად მსჯელობს შეფასების კრიტერიუმებზე; 9. ავლებს პარალელებს უცხო და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს მსგავსებებს, განსხვავებებს; 10. კორექტულად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, დამოკიდებულებას კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას.
5. მიმდინარეობა	1. გაკვეთილის მიზნისა და შედეგების გაცნობა – 3 წთ. 2. მასწავლებლის შესავალი სიტყვა – 2 წთ. 3. პრეზენტაციები: 3.1. პოემის ლექსიკური ერთეულები – 3 წთ. 3.2. სპეციალური მხატვრული ხერხები ნაწარმოებში – 3 წთ. 3.3. სტილისტური ფიგურები და მათი როლი – 2 წთ. 3.4. პოემის მხატვრული ენის გააზრება შინაარსისა და იდეის გაგებისათვის – 3 წთ. 3.5. ლერმონტოვი და საქართველო – 3 წთ. 3.6. პოემა მწირი და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება – 2 წთ. 3.7. ილუსტრაციები პოემა მწირის მიხედვით – 3 წთ. 3.8. ფოტოგალერეა – 3 წთ. 3.9. ვიდეოკლიპი „ჯვარი“ – 5 წთ. 4. შეჯამება – 5 წთ. 4.1. ვიცი | გავიგე | მინდა ვიცოდე 4.2. მასწავლებლის შემაჯამებელი სიტყვა – 3 წთ. 4.3. შეფასება – 5 წთ.
6. შეფასება	მოსწავლეთა თვით და ურთერთშეფასება ხდება მინი-დისკუსიის საშუალებით. წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით ხდება მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება (იხილე შეფასების რუბრიკა).
7. რესურსები	კომპიუტერი, პროექტორი, ფოტოაპარატი, დაფა, ცარცი, ლერმონტოვის პოემა „მწირი“.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი, გვარი								
	1	2	3	4	5	6	7	8	9
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1								
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1								
შემოქმედებითი უნარი	1								
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	0								
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	0								
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1								
თვალსაჩინოებების გამოყენება	0								
აუდიტორიასთან კონტაქტი	1								
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1								
დროის ლიმიტის დაცვა	0								
ჯამი	6								

პროექტის შეფასების განზოგადებული რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა

	ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
1. მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს, მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი – გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3. შინაარსის კორექტულობა	ხშირად გვხვდება შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები – ზუსტი და მკაფიო
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართული, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5. კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყაროები არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო და ანალიზი სიღრმისეულია
6. თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნათელია, მაგრამ ერთფეროვანია	მრავალფეროვანი შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7. შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8. კავშირი საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	მოსაზრებები დაკავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე
9. დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი იგრძნობა კვლევასთან, ისინი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული
10. პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გაშლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

პროექტის უმთავრესი შედეგი – გაიზარდა მოსწავლეთა დაინტერესება და მოტივაცია, ამის დასტურია ის, რომ პირველ ეტაპზე პროექტში ჩართული იყი 22 მოსწავლე, ხოლო მეორე ეტაპზე პროექტში ჩართვის სურვილი უკვე 37-მა მოსწავლემ გამოთქვა. პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებს ა. გრიბოედოვის ნაწარმოების „ვაი ჭკუისაგან“ შესწავლას.

ამ პროექტ-გაკვეთილის საუკეთესო ვარიანტია მისი ჩატარება მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან.

ტარიელ კალანდაძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის
დირექტორი, რუსული ენის მასწავლებელი

საგანმანათლებლო კერა

სკოლა სამი საუკუნის მიჯნაზე

1889 წლიდან დღემდე....

ეს ის წლებია, რომელიც სალხინოს სკოლამ გამოიარა, დაწყებული ორკლასიანი სამრევლო სკოლიდან, ვიდრე ბესიკ ხულორდავას სახელობის სალხინოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლამდე.

ვინ იცის, რამდენი ქარტეხილი, რამდენი ტკივილი და სიხარული განიცადა საუკუნეს გადაცილებულმა სასწავლებელმა...

ვინ იცის, რამდენი თაობა დაფრთიანდა მის მადლიან კედლებში...

სალხინოში 1889 წელს გაიხსნა პირველი ორკლასიანი სასწავლებელი, შემდგომ კი... 1912 წელს დაირეკა პირველი ზარი სალომე დადიანისა და ბებე დადიან-მიურატის მიერ აშენებულ სკოლაში. თითქოს დღესაც ატყვია ჩვენი სკოლის ეზოს დადიან-მიურატთა ნაფეხურები, თითქოს დღესაც ჩაგვესმის მათი სამოსის შარი-შური...

ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეს სამეგრელოს მთავრის მიერ ხელშეხებულ შენობაში განთავსებულია სალხინოს საბავშვო ბაღი და მათ მიერვე გაშენებულ ბაღში თამაშობენ სკოლის მოსწავლეები.

დროის ყოველ ეტაპზე სკოლაში მოღვაწეობდნენ თავიანთი საქმის კორიფეები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია. მათი მოსწავლეები წარმატებით აგრძელებდნენ და აგრძელებენ სწავლასა და მოღვაწეობას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც.

სკოლის შესახებ იწერებოდა პრესაში, შუქდებოდა ტელევიზიაში, გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ აქვს ჩვენს სკოლას ღირსშესანიშნავი....

დღეს კი, 180 მოსწავლის სწავლა-განათლებას სკოლის 35 თანამშრომელი ემსახურება. ჩვენი მოსწავლეების წარმატებები თვალსაჩინოა. ისინი იმარჯვებენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, მოიპოვებენ გრანტებს, რომლითაც გაამდიდრეს სკოლის ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია – ქიმიური რეაქტივებითა და პრეპარატებით, დარბაზი – სპორტული ინვენტარით, კეთილმოაწყვეს სკოლისა და კულტურის სახლის ეზოები, დაასუფთავეს მდინარე წაჩხურას ხეობა.

სანიმუშოა მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამეურვეო საბჭოების მუშაობა. სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების კლუბი „იმედი“, ლიტერატურული სალონი „სიყვარულის სამეფო“, რომლის ეგიდითაც ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მიმდინარეობს საწრეო მუშაობაც, გამოდის კედლის გაზეთები.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები თანამშრომლობენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან და მარტვილის ახალგაზრდული იდეის წევრები არიან. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, სკოლის კურსდამთავრებულთა შორის, ექვსი მედალოსანია. არა გვყავს არც ერთი ჩაჭრილი მოსწავლე საატესტატო გამოცდებზე, მაღალია სერტიფიცირებულ პედაგოგთა წილიც.

სკოლის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული მშობელთა კომიტეტი, თემი და საზოგადოება. ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით ირიცხებიან სხვადასხვა უნივერსიტეტებში, საიდანაც მადლობის ბარათები მოგვდის.

აღსანიშნავია კლასის დამრიგებელთა და კათედრათა მუშაობაც, მაღალია პედაგოგიური კოლექტივის მოტივაცია, კოლექტივისა, რომელიც ერთიანი და შეკრულია. დირექციას გვერდით უდგას ტექნიკური პერსონალიც.

ნუნუ სილაგავა
მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს საჯარო სკოლის დირექტორი

მშობელთა კრება

რატომ ალარ ვლაპარაკობთ?



უკანასკნელ წლებში კატასტროფულად იმატა იმ ბავშვების რიცხვმა, რომლებსაც ლაპარაკი არ სურთ. რა ხდება? ჩვენ სულ უფრო ხშირად ვსვამთ ამ კითხვას, პასუხს სხვადასხვა წყაროში ვეძებთ, მაგრამ იშვიათად ვპოულობთ. რატომ არ ლაპარაკობენ ბავშვები, ამაზე მეტყველების განვითარებისა და კორექციის ცენტრ „ლოგომედის“ ექიმი ეკა ჭავჭავაძე გვესაუბრება.

– მეტყველების დარღვევები პრობლემათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მრავალი მათგანი ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მომტანი არ არის, ამიტომ საზოგადოება მეტყველების კორექციას ყოველთვის ზერელედ ეკიდებოდა. დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა, გაჩნდა და გახშირდა პათოლოგიები, რომლებიც სწორედ უმეტყველობით ან მეტყველების სხვა ტიპის დარღვევით ვლინდება. მათ რიცხვს ეკუთვნის აუტიზმი და აუტისტური სპექტრი, მუტიზმი, თავის ტვინის ორგანული დაზიანებანი, კისტოზური წარმონაქმნები. მეტყველების დარღვევა მათი პირველი კლინიკური ნიშანია.

– ამიტომ ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, როგორ იწყება მეტყველება, რა არის ნორმა და რას უნდა მიაქციოს ყურადღება, უპირველეს ყოვლისა.

– მეტყველების განვითარება იწყება პირველივე თვეებიდან, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს და 6 წლისთვის სრულდება. პირველი ეტაპი 3 თვემდეა. მეტყველების ჩანასახოვან ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის წამოყვირებაც კი. ამ ეტაპზე პატარა ერთგვარ ექსპერიმენტებს ატარებს ხმოვნებთან, თავდაპირველად სპონტანურად წამოიძახებს, შემდეგ წელავს, უსმენს საკუთარ ბგერებს და იწყებს მათ დაწყვილებას. 3-დან 6 თვემდე ხმოვნების მონაცვლეობის პერიოდია. თუ ადრე მხოლოდ ერთ ხმოვანს ამბობდა, შემდეგ აწყვილებს მათ და ამავე პერიოდის დასასრულს უკვე ჩნდება პირველი ორგანიზებული მარცვლებიც: მამა, დედე, ბუბუ, ბებე და ა.შ. დაახლოებით 7-8 თვისთვის ბავშვი უკვე ყურს უგდებს უფროსების საუბარს და იწყებს სიტყვების გარჩევა-დიფერენცირებას. პირველ სიტყვებს გოგონები 9-10 თვის ასაკში წარმოთქვამენ, ვაჟები – 11-12 თვის ასაკში. წლინახევრიდან იწყება ლექსიკური მარაგის აქტიური გამდიდრება. ორი წლის პატარა უკვე უნდა ამბობდეს და არჩევდეს 100-150-მდე სიტყვას, 3 წლისას კი 200-ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს. თუმცა დღეს საკმაოდ ძნელია ისეთი ბავშვის პოვნა, რომელიც ორი წლის ასაკში 150-მდე სიტყვას ამბობს. მეტყველების ფუნქციის განვითარების შეფერხება უკვე გლობალურ პრობლემად იქცა.

– უმეტესად რა იწვევს მეტყველების განვითარების შეფერხებას?

– ამას უამრავი მიზეზი აქვს. ბავშვი სწორად რომ ამეტყველდეს, მას თავად უნდა ესმოდეს სხვათა სწორი და გამართული მეტყველება, მიღებულმა ინფორმაციამ მასში გარემოს შეცნობისკენ დაუძლეველი სწრაფვა უნდა აღძრას. მხოლოდ ამის შემდეგ უჩნდება ადამიანს სხვა ადამიანებთან, ცოცხალ ბუნებასთან სიტყვის მეშვეობით კომუნიკაციის სურვილი. მშობელთა მოუცლელობა, ძიძების ინსტიტუტის ფართოდ დანერგვა, ტექნოგენიზაცია, ვიზუალური ეფექტების სიჭარბე – აი, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საგრძნობლად ამუხრუჭებს ამეტყველების ფიზიოლოგიურ პროცესს. ყოველივე ეს ბავშვს ვირტუალურ სამყაროში გადაბარგების და იქ დამკვიდრების სურვილს აღუძრავს, შესაბამისად, ავიწროებს მისი ინტერესების სფეროს და ის ამ სამყაროს დატოვებაზე არც კი ფიქრობს. ვერბალური კომუნიკაციის დეფიციტი უფროსებთანაც საგრძნობია – დღეს ადამიანი კლავიატურამ შეცვალა.

– ვიზუალური ეფექტების სიჭარბე ახსენეთ. რას გულისხმობთ?

– კომპიუტერულ თამაშებს, ანიმაციურ ფილმებს, რომლებსაც ბევრ დროს უთმობენ ჩვენი პატარები. ცნობილია მულტიპლიკაციური ეპილეფსიის ფორმა, რომელიც ბავშვებთან ნახატი ფილმების უზომო ყურებისას ვითარდება. განსაკუთრებით საზიანოა, როცა პატარები რამდენიმე ენაზე გახმოვანებულ ფილმებს მეტყველების აქტიური განვითარების პერიოდში – 2-4 წლის ასაკში უყურებენ. მშობლებს, თავდაპირველად, ძალიან მოსწონთ და ეამაყებათ კიდეც, როცა მათი პატარა საუბრისას უცხოურ სიტყვებს იყენებს, მაგრამ რამდენიმე ხანში რწმუნდებიან, რომ იგი ვერც ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს სრულფასოვნად, გარდა ამისა, დარღვეული აქვს ენის გრამატიკული შენება, ვერ ახერხებს პირისა და რიცხვის შეთანხმებას, დროების შერჩევას და ა.შ. ეს არ არის ბილინგვიზმი, როგორც ბევრს ჰგონია. ბილინგვები თავისუფლად მეტყველებენ ორივე ენაზე. მე კი ვგულისხმობ ბავშვებს, რომლებიც უსასრულოდ იმეორებენ უცხო ენაზე 2-3-სიტყვიან ფრაზებს, თუმცა მათი მნიშვნელობა არ ესმით. ამის გამო ისინი სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან თანატოლებთან ურთიერთობის დროსაც – მათი არ ესმით, გაურბიან მათთან თამაშს, რაც სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების სათავედ იქცევა. მინდა შეგახსენოთ, რასაც ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი გვირჩევდა: 5 წლამდე ბავშვს მხოლოდ ერთი ენა უნდა ესმოდეს. მხოლოდ ამის შემდეგ არის გამართლებული მეორე და მესამე ენის შესწავლა.

– რას ურჩევდით მშობლებს, რომელთა შვილებიც ენის ამოდგმას აგვიანებენ?

– როდესაც ამეტყველება გვიანდება, ბავშვი უნდა აჩვენოთ ნეიროფსიქოლოგს ან ფსიქიატრს. აუცილებელია იმის გარკვევა, რითია გამოწვეული უმეტყველობა. დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ კი დაიწყება მეტყველების თერაპია. რა გენეტიკური მიზეზებიც არ უნდა იყოს ოჯახში, სამ წლამდე ლოდინი დამღუპველია. ორი წლის ასაკში პრობლემის მიზეზი უკვე უნდა გაირკვეს. ბავშვებს მეტხანს უნდა ვესაუბროთ. თუ უმეტყველობა პროვოცირებულია ვიზუალური ეფექტების სიჭარბით, ეს ფაქტორი უნდა აღმოიფხვრას. აქტიურ ამეტყველებამდე ბავშვს უნდა ესმოდეს მხოლოდ ერთი ენა. მას უნდა გავუხმოვანოთ ყველა ქმედება, დილის ტუალეტით დაწყებული, ძილის პროცესით დამთავრებული. ვიზუალური ეფექტები ვერბალური, ანუ სიტყვისმიერი ეფექტებით უნდა ჩავუნაცვლოთ, მოვუყვეთ ძილის წინ ზღაპრები, რაც დღეს იშვიათობაა. თუ არ გსურთ მწარე რეალობასთან შეგუება, ჩვილობიდანვე უნდა შეაჩვიოთ პატარა მშობლიურ ენას, თბილ, სიყვარულით, მზრუნველობით აღსავსე ფრაზებს. გარემო მისი ინტერესების მიხედვით უნდა გაახმოვანოთ, მოაწონოთ და შეაყვაროთ რეალობა.

ლალი ჩხიკვაძე

mkurnali.ge

სასკოლო აქტივობა

კიდევ ერთი საინტერესო გაკვეთილი

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, მან კოლეგებთან ერთად იმუშაოს ინტეგრირებულ გაკვეთილზე, როგორც თავის კათედრაზე, ასევე სხვა კათედრების მასწავლებლებთან ერთად. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი საგნების ინტეგრაცია, რომლებსაც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ ინტეგრირებული, ინტერაქტიული გაკვეთილის მიზანი ხომ ყველა საგნისთვის საერთოა – მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, საკომუნიკაციო და საპრეზენტაციო უნარების განვითარება, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და მასში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა, ზოგადად, ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მოსწავლეებს მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ.

ასეთი, ერთი შეხედვით „უჩვეულო“ გაკვეთილი სცდება ჩვეულებრივი გაკვეთილის ფორმატს და მასწავლებლისა და მოსწავლის შემოქმედებას მეტი გასაქანი ეძლევა. შედეგი კი იმ შემთხვევაშია საუკეთესო, როცა გაკვეთილი პროექტის ელემენტებსაც შეიცავს. ამ დროს მოსწავლეებში ღვივდება შემოქმედებითი ინტერესი და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, აქტიურდება საზაროვნო უნარები და მოსწავლე მეტად ქმედითუნარიანი და ინიციატივიანი ხდება.

ასეთი კომბინირებული ტიპის გაკვეთილს მიეკუთვნება გაკვეთილი-კონფერენცია, რომელიც სამტრედიის №1 საჯარო სკოლის IX^ბ კლასში ჩატარდა თემაზე – „ნიუტონი და მისი კანონები.“

გაკვეთილი დაიგეგმა ფიზიკისა და ინგლისური ენის მასწავლებლების – **ციური ხურცილავასა** და **მარინა ბოკუჩავას** მიერ. იდეა კი რამდენიმე თვით ადრე IV^ბ კლასში მათემატიკისა და უცხო ენის (მასწავლებლები – **რუსუდან წიქვაძე** და **ანჟელა ბუაძე**) ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების შემდეგ გასჩენია ქალბატონ ციურის, ბევრი ფიქრიც არ იყო საჭირო, ისააკ ნიუტონი ხომ ინგლისელი იყო.

ფიზიკის კაბინეტი იმ დღეს დიდი მეცნიერის ცხოვრებით ცხოვრობდა. შესასვლელ კარზე მისი სურათი იყო გაკრული წარწერით *„შორს იმის წყალობით ვიხედებოდი, რომ ბუმბერაზების მხრებზე ვიდექი“*. კედლები ნიუტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სურათებითა და გამონათქვამებით იყო სავსე: სახლი ვულსტროპში, სადაც დაიბადა დიდი მეცნიერი; ტრინირი-კოლეჯი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, მისი ხელნაწერები; ავტოგრაფი, ნიუტონის ძეგლი ლონდონის ცენტრალურ პარკსა და ბიბლიოთეკის ეზოში ,ვაშლის ხე, რომლის ნაყოფიც თითქოს დაეხმარა ნიუტონს გრავიტაციის აღმოჩენაში; მისი ნაშრომის „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“ ტიტულოვანი ფურცელი; კანონები, რომელსაც თვითონ „აქსიომებს“ უწოდებდა; გრანდიოზული ტაძარი ვესტმინსტერის სააბატოში, სადაც დაკრძალულია დიდი ფიზიკოსი; ძეგლი ეპიტაფიით *„ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ როცა დრო, ბუნება და ზეცა მის უკვდავებას ადასტურებს“*.

ზარი დაირეკა და მოსწავლეები მერხებს მიუსხდნენ. ისინი ხუთ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი; 1. „ბიოგრაფები“ (**მირანდა ზურაბიანი, ეკა ნარიშელაშვილი, ქრისტინე ონიანი, მარიამ გრიგოლია** და **გვანცა კიკაჩეიშვილი**), 2. „ინერცია“ (**მარიამ ქურდობაძე, პავლე შენგელია, ამირან შენგელია, სულიკო კიკაჩეიშვილი**), 3. „ძალოსნები“ (**ზურა შენგელია, ტარიელ დარჯანია, ქეთევან ცომაია** და **ლორენა გეფერიძე**), 4. „ქმედება = უკუქმედებას“ (**მარიამ ძაგნიძე, მარიამ არველაძე, ალიკო სტურუა** და **ბესიკ სიხარულიძე**), 5. „გრავიტაცია“ (**ელენე კრავეიშვილი, მალხაზ კაცაძე, თამარ ფხაკაძე** და **ანა ავალიანი**).

კონფერენცია შესავალი სიტყვით პედაგოგებმა გახსნეს. მოსწავლეებს გააცნეს გაკვეთილის მიზნები და შეფასების კრიტერიუმები, რომელიც დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული. გაკვეთილი კითხვა-პასუხით დაიწყო: „რას შეისწავლის მექანიკა და რა არის მისი ძირითადი ამოცანა?“, „მოძრაობის რა სახეებს ვიცნობთ?“, „როგორ ჩაიწერება კოორდინატის დროზე დამოკიდებულების განტოლებები წრფივი თანაბარი და თანაბარაჩქარებული მოძრაობისას?“, „რა ფიზიკური სიდიდეების ცოდნაა საჭირო მოძრაობის შესწავლისათვის?“, „რისთვის არის საჭირო დინამიკა?“ და ა.შ., რომლითაც მასწავლებელი მივიდა კლასიკური მექანიკის ძირითად კანონებამდე.

ამის შემდეგ სიტყვა მომხსენებლებს მიეცათ. პირველები „ბიოგრაფები“ იყვნენ. უცებ XVII საუკუნის ინგლისში აღმოვჩნდით: პრეზენტატორებმა საინტერესოდ ისაუბრეს ისააკ ნიუტონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აღნიშნეს მისი როლი ფუნდამენტალური მეცნიერების განვითარების საქმეში. საინტერესოდ მოუთხრეს თანატოლებს ნიუტონის ათეისტური შეხედულებების შესახებ, შეეხნენ მის თეორიებს მათემატიკასა და ოპტიკაში, არც მისი უცნაურობები დავიწყებიათ, მაგალითად: ორი ხვრელი კარში ძაღლისა და კატისათვის, კვერცხის ნაცვლად მოხარშული საათი და სხვა. გაიხსენეს ლეგენდები და ანეკდოტები მის შესახებ, მოკლედ გადმოგვცეს საინტერესო ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. შემდეგ „ინგლისელებმა“ – მარიამ ძაგნიძემ და გვანცა კიკაჩეიშვილმა – ინგლისურ ენაზე გააცნეს ბავშვებს დიდი მეცნიერის ბიოგრაფია.

მეორე ჯგუფმა ნიუტონის მეორე კანონის შესახებ ისაუბრა, ჩაატარეს ცდები ინერციის მოვლენაზე, არც გალილეო გალილეის აზრობრივი ექსპერიმენტი დავიწყებიათ, ახსნეს როდის არის ინერცია სასარგებლო და როდის საზიანო. მესამე ჯგუფის ლიდერმა ზურა შენგელიამ ისაუბრა ნიუტონის მეორე კანონის შესახებ. არანაკლებ საინტერესო იყო პრეზენტაციები ნიუტონის მესამე კანონზე, გრავიტაციასა და ზღვის მიქცევა-მოქცევაზე. მოსწავლეები კანონებს აყალიბებდნენ ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოხსენებები ექსპერიმენტებისა და ცდების თანხლებით მიმდინარეობდა, საინტერესოდ დასმულ შეკითხვებს აუდიტორიაც ხალისით პასუხობდა, ერთ პრეზენტატორს მეორე ცვლიდა, ერთ სლაიდს – მეორე. მასწავლებლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისთვის ისეთი დავალება ჰქონდათ შერჩეული, რომ იგი მთელი გაკვეთილი დატვირთული იყო და თავსაც კომფორტულად გრძნობდა.

მოსწავლეებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოადგინეს თავიანთი გაკეთებული ბუკლეტი.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა ბავშვებს კიდევ ერთი დავალება შესთავაზა – ტესტი ღია და დახურულბოლოიანი კითხვებით. მოსწავლეებმა ამ საქმესაც კარგად გაართვეს თავი.

დადგა მოსწავლეთა შეფასების დრო. პრიორიტეტი აქაც ბავშვებს მიეცათ. თავიანთი თანატოლების პასუხები მათ 8, 9 და 10 ქულით შეაფასეს. პედაგოგები ზოგჯერ ეთანხმებოდნენ მათ შეფასებას, ზოგჯერ არა და, ოთახში

გამოკრული შეფასების რუბრიკის მეშვეობით, უხსნიდნენ არდათანხმების მიზეზს.

...და ბოლო შტრიხი – მასწავლებლის კითხვა – „გსმენიათ რამე გრავიტაციული ანომალიის შესახებ?“ თურმე დედამიწაზე არის ადგილები, სადაც წყალი აღმა მიედინება და ბურთიც აღმართზე მოძრაობს. გზის ასეთი პატარა მონაკვეთი მთაწმინდაზეც ყოფილა, ყირიმშიც და კალიფორნიაშიც. პავლე შენგელიამ გაიხსენა, რომ მსგავსი მოვლენა ინტერნეტით ჰქონდა ნანახი, ხოლო ინგლისური ენის მასწავლებელ მარინა ბოკუჩავას, რომელიც აფხაზეთიდანაა, თავისი თვალით უნახავს და განუცდია გრავიტაციული ანომალია გაგრის მახლობლად, მთა მამზიშხაზე. მარინა მასწავლებელი გაოცებით ყვებოდა, როგორ გამორთეს მანქანის ძრავა და მანქანა ქვემოთ დაგორების ნაცვლად ზემოთ „აგორდა“. ციური მასწავლებელმა მოვლენა კი დაახასიათა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ზუსტი მიზეზების დასადგენად მეცნიერებამ ჯერ ვერ „მოიცალა“. *„იქნებ რომელიმე თქვენგანს ფიზიკოსობა სურს? ეს დავალება თქვენთვისაა; თქვენ გელით ამ საიდუმლოს ამოხსნის სიხარული.“* გაკვეთილის ბოლოს ისევ ნიუტონის ფრაზამ გაიჟღერა – მრავლისმთქმელმა, შთამბეჭდავმა და დასაფიქრებელმა – *„ადამიანები მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში უფრო მეტ „კედლებს“ აშენებენ, ვიდრე „ხიდებს“*. მოსწავლეებმა ამ ფრაზის შესახებაც გამოთქვეს თავიანთი აზრი.

ამასობაში ზარიც დაირეკა, ისე შეუმჩნევლად გასულიყო ორი გაკვეთილი, რომ არც მოსწავლეებს და არც დამსწრე საზოგადოებას დაღლა და მოწყენა არ ეტყობოდათ.

ეს გაკვეთილი მართლაც იყო ხიდი თანამშრომლობის, უშუალო ურთიერთობების და ფიზიკის სამყაროს უკეთ შეცნობისათვის.

ამონარიდები კოლეგების შეფასებებიდან:

„გაკვეთილი საინტერესოდ იყო დაგეგმილი, ყველა აქტივობა მიმართული იყო საგაკვეთილო მიზნისაკენ. აღსანიშნავია პრაქტიკული ცდები, რაც ცოდნას თვალსაჩინოს ხდიდა, მოსწავლეებს დავალებები განაწილებული ჰქონდათ თავიანთი ინტერესისა და შესაძლებლობის მიხედვით.“

ლია ამაღლობელი
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„გაკვეთილზე შექმნილმა გარემომ საშუალება მოგვცა გვემოგზაურა ნიუტონის ეპოქაში. ისტ-ის გამოყენებით კიდევ ერთხელ შევავლეთ თვალი იმ ადგილებს, სადაც მიმდინარეობდა დიდი ფიზიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა.“

ანა ქარჩილაძე
ისტორიის მასწავლებელი

„გაკვეთილზე ჩანდა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, თვითშფასების, ურთიერთშეფასების, მოსწავლეთა მიერ პროექტებსა და პრეზენტაციებზე მუშაობის უნარი, რაც ასე აუცილებელი და აქტუალურია დღეს.“

ლიანა ფხაკაძე
ბიოლოგიის მასწავლებელი

„გაკვეთილზე მოსწავლეები მაქსიმალურად აქტიურები იყვნენ, ი.ს.ტ გამოყენებული იყო მიზნობრივად, საგნის ეფექტურად სწავლებისათვის. საკლასო ოთახში შექმნილი დადებითი ემოციური ატმოსფერო ხელს უწყობდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების თანამშრომლობას.“

ციცინო კილურაძე
ქიმიის მასწავლებელი

„სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით და მრავალფეროვანი აქტივობებით. მასწავლებლებმა მიაღწიეს გაკვეთილის დასაწყისში დასახულ მიზნებს, მათ გამოიყენეს შეფასების ორივე ფორმა – განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, აგრეთვე ურთიერთშეფასება.“

ნონა ვაშაკიძე
ფიზიკის მასწავლებელი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის გამგე

„გაკვეთილი საინტერესო იყო არა მარტო მოსწავლეებისათვის, არამედ დამსწრე საზოგადოებისთვისაც. საგანთაშორისი ინტეგრირება იყო ლოგიკური, გათვალისწინებული იყო ესგ-თი განსაზღვრული შედეგები. გამოყენებული იყო ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული აქტივობები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფდა ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგის მიღწევას, რესურსების გამოყენებით გაკვეთილი იყო ეფექტიანი.

საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ახერხებდნენ წინასწარ დაგეგმილი აქტივობებისა და მეთოდების მოდიფიცირებას. სასიამოვნოდ თვალში საცემი იყო პედაგოგთა კოლეგიალობა, გამოცდილების, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების უანგარო გაზიარება, რაც, თავის მხრივ, აუცილებელი წინაპირობაა როგორც თავად მისი, ასევე მისი კოლეგების პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის, საბოლოო ჯამში კი – სკოლის პრესტიჟისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, რისთვისაც დიდი მადლობა პედაგოგებს.“

ხათუნა ფაილაძე
სკოლის დირექტორი.

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა ახალი სლოგანით

ორიოდე კვირის წინ, 15 მარტს, მცხეთაში საზეიმოდ გაიხსნა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც წლეულს პირველად ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების, ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად. მცხეთაში გახსნის ცერემონიალი ქალაქის №2 საჯარო სკოლაში გაიმართა, რომელსაც სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი**, განათლების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ოლიმპიადის გახსნა დაემთხვა მაგიდის ჩოგბურთში მცხეთის ფინალურ ეტაპს, თუმცა მანამ პლანშეტური კომპიუტერით დააჯილდოვეს ოლიმპიადის სლოგანის ავტორი, 9 წლის **კესო შელეგია**. აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორებმა 30 საკონკურსო ვარიანტი მიიღეს, თუმცა არჩევანი შელეგიას სლოგანზე – „ისწავლე გამარჯვება“ შეაჩერეს. ოლიმპიადამ სტარტი სწორედ ამ სლოგანით აიღო. ცოტა უფრო ადრე, **სალომე კორკოტაშვილის** ავტორობით, ჰიმნიც შეიქმნა.

შეგახსენებთ, რომ სასკოლო ოლიმპიადის პროგრამაში სპორტის 4 სახეობა შედის: მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და მძლეოსნობა. გაიმართება შეჯიბრებები მხიარულ სტარტებშიც. ასპარეზობები რეგიონული პრინციპით ჩატარდება შემდეგ ქალაქებში: თბილისი, მცხეთა, გორი, თელავი, რუსთავი, ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე და ამბროლაური. ჯერჯერობით, შეჯიბრებებში ამ რეგიონების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა გაისად განზრახულია ქვეყნის ყველა სკოლის ჩართვა. უკვე დასრულდა შეჯიბრებები მცხეთასა და გორში, თელავსა და ზუგდიდში კი ჯერაც მიმდინარეობს. ამ ქალაქების გამარჯვებულები, ივნისში, ფინალურ თამაშებზე გაემგზავრებიან, რომელიც ანაკლიაში ჩატარდება „მომავლის ბანაკში“, ხოლო ვინც იქაც გამოიჩენს თავს, 2016 წელს, მსოფლიოს სასკოლო ოლიმპიადაზე იასპარეზებს, რომელსაც ხორვატია, ესტონეთი, ისრაელი და უნგრეთი უმასპინძლებს.

მცხეთაში მაგიდის ჩოგბურთში 14 სკოლის 1000-ზე მეტი მოზარდი ჩაება, გამარჯვებულები კი №1 და №2 სკოლების მოსწავლეები – **ლუკა ზამბახიძე** და **ხატია გრიგალაშვილი** – გახდნენ. ზაფხულში ისინი ანაკლიაში გამოვლენ ამ რეგიონის სახელით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მინი-ფეხბურთიც საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა და დაძაბული ფინალითაც დასრულდა. გადამწყვეტ პაექრობაში ერთმანეთს მცხეთის №1 და №2 სკოლების გუნდები შეხვდნენ. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, უგოლოდ დასრულდა. ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა, რომელიც უფრო ზუსტად მეორესკოლელებმა შეასრულეს – 4:2 მოიგეს. შესაბამისად, ოქროს მედლებიც და ანაკლიის საგზურიც მათ დარჩათ.

ამ ოლიმპიადის ფარგლებში ამავე სკოლის გუნდები კიდევ ერთ ფინალში, ამჯერად კალათბურთში, შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება კვლავ მეორე სკოლას დარჩა – 7:2. ფინალის მონაწილეებს მედლები, თასები და სიგელები თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა კალათბურთელმა **სერგო მაღალაშვილმა** გადასცა.

მცხეთის №2 საჯარო სკოლის გუნდი

მძლეოსნობაში შეჯიბრება 400 მეტრზე ამანათრბენში ჩატარდა და მონაწილეობდა 14 სკოლა. თითოეულ გუნდში 2-2 ბიჭი და გოგო შედიოდა. ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება ძალისის, წეროვანის №3, მუხრანისა და საგურამოს გუნდებმა მოიპოვეს, იქ კი ესტაფეტა ყველაზე სწრაფად წეროვანელებმა გაირბინეს. მეორეზე ძალისის გუნდი გავიდა, მესამეზე – მუხრანის.

წეროვანის №3 სკოლამ გაიმარჯვა „მხიარულ სტარტებშიც“. მუხრანელები აქ მეორეზე გავიდნენ, საგურამოელები – მესამეზე, ძეგვის სკოლა კი მეოთხეზე დარჩა.

გორში უკვე დასრულდა შეჯიბრებები 3x3 კალათბურთში. გოგონებში გორის №3 საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში 15:7 დაამარცხა №9 სკოლა. ბიჭებში №2 სკოლამ, დაძაბულ პაექრობაში, 25:21 აჯობა ღირსი მამა მთაწმიდელის სახელობის გიმნაზიას.

მინი-ფეხბურთის ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში გორის №3 საჯარო სკოლამ 5:1 დაამარცხა მეოთხე სკოლის გუნდი და ანაკლიის საგზური მოიპოვა. ამ თამაშს ესწრებოდნენ: უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გორის „დილას“ მთავარი მწვრთნელი **უჩა სოსიაშვილი** და ტექნიკური დირექტორი **ზვიად ხორგუაშვილი**.

მაგიდის ჩოგბურთში გოგონებში გამარჯვება ღირსი მამა მთაწმიდელის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე **ანა მარიამიძეს** დარჩა, რომელმაც ფინალში №7 სკოლის წარმომადგენელ **ლედი ლალიაშვილს** აჯობა. ბიჭებში ოქროს მედლისთვის პაექრობაში მეოთხესკოლელმა **გიორგი მჭედლიძემ** მეცხრესკოლელ **თორნიკე ქურდაძეს** მოუგო.

გუშინ გორში **ლევან ყიფიანი** და განათლების მინისტრი **თამარ სანიკიძე** ჩავიდნენ, რომლებმაც მძლეოსნობაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს. შეჯიბრებას დაესწრო და დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა ოლიმპიური პრიზიორი **მაია აზარაშვილი**.

ფუტზალი რეგიონებშიც გავიდა

გრძელდება სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტურნირი ფუტზალში, რომლის ჩატარებაშიც აქტიურად მონაწილეობს სპორტის შესაბამისი ეროვნული ფედერაცია. ამ უქმეებზე დასრულდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული პირველობა, რომელშიც 24 გუნდი ასპარეზობდა. შეჯიბრებას ახალქალაქმა და ახალციხემ უმასპინძლეს. გამარჯვება და ფინალური ეტაპის საგზური ახალქალაქის №1, ახალციხის №1 და №5 და ბორჯომის №6 საჯარო სკოლებმა მოიპოვეს. ისინი, ფინალურ ტურნირში, თბილისში იასპარეზებენ, თუმცა მისი ჩატარების ვადები მოგვიანებით გადაწყდება.

ანალოგიური შეჯიბრება დასრულდა აჭარაშიც, სადაც 38 საჯარო და კერძო სკოლა იბრძოდა გამარჯვებისთვის. სანუკვარ მიზანს, საბოლოოდ ბათუმის №1 საჯარო სკოლის გუნდმა მიაღწია და თბილისშიც ის ჩამოვა სათამაშოდ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ გარითლეტრაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

კონკურსი

გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ სასკოლო კონკურსის „ფოტოსინთეზი“ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. ღონისძიებას დაესწრნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი **ელგუჯა ხოკრიშვილი**, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) დირექტორი **ნანა ჯანაშია** და სხვა მოწვეული სტუმრები.

ფინალურ ტურში მოსწავლეებმა საუკეთესო ფოტოები წარმოადგინეს, სადაც 3 საუკეთესო ფოტოს ავტორი, 3 სკოლის საუკეთესო სტენდი და სხვადასხვა კომპანიების მიერ შერჩეული ფავორიტი ფოტოების ავტორები დაჯილდოვდნენ.

გამარჯვებული ფოტოების ავტორები გახდნენ:

I ადგილი – სალომე ვაწაძე (ბუგეულის საჯარო სკოლა, ამბროლაური);

II ადგილი – ნათია ციგრიაშვილი (დუშეთის №1 საჯარო სკოლა);

III ადგილი – შოთა მაყიშვილი (თბილისის №117 საჯარო სკოლა).

მათ საჩუქრად ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიები, ფოტოაპარატი, პლანშეტი და პორტატული კომპიუტერი გადაეცათ. ხოლო საუკეთესო სტენდისთვის, სამ საჯარო სკოლას, „მწვანე სკოლის“ დროშა მიენიჭა, „საზაფხულო სკოლების“ მუდმივი მონაწილის სტატუსით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოავლინა სამი ფავორიტი ფოტოს ავტორი: **შაქრო მურმანიშვილი** (ახალქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელობის №3 საჯარო სკოლა, სამცხე-ჯავახეთი), **მიხაილ შინგაზრდილოვი** (თელავის №2 საჯარო სკოლა, კახეთი) და **თინათინ ბაქანიძე** (ლიხაურის საჯარო სკოლა, ოზურგეთი). თამარ სანიკიძემ მათ წამახალისებელი პრიზები გადასცა. ასევე, კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე პატარა მონაწილე, **თათია გორგოძე** (თბილისის №149 საჯარო სკოლა) მინისტრმა, ფოტოსესიისთვის, სამინისტროში მოიწვია.

კონკურსი გასული წლის დეკემბერში გამოცხადდა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რაიონის საჯარო სკოლების 3 000-მდე მოსწავლემ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, საუკეთესო სტენდის ავტორი სამი საჯარო სკოლის მოსწავლეები საქართველოს სამ დაცულ ტერიტორიას ეწვევიან.

პროექტის ორგანიზატორები არიან: კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი (CENN), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

„სამეფო გვირგვინი“ – 2015

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითაა დაფუძნებული, უკვე მესამედ ჩატარდა კონკურსი „სამეფო გვირგვინი“.

დღეს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე კონკურსების, კონფერენციების და სხვადასხვა ტიპის აქტივობების ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ ნიკო ბურის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის მიერ ორგანიზებული კონკურსის მიზანია გამოავლინოს და წაახალისოს ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლეები, გააძლიეროს მათი ორიენტაცია ქრისტიანულ, ეროვნულ და ტრადიციულ ფასეულობებზე, კულტურაზე, ყურადღება გაამახვილოს ქართველ მეფეთა, ღვთისმსახურთა, წმინდანთა, მხედართმთავართა, ქართული ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებასა და დამსახურებებზე. ვფიქრობთ, სწორედ ეს გამოარჩევს „სამეფო გვირგვინს“ სხვა აქტივობებისგან.

ამიტომ ორმაგად სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა თაობა კვლავ და კვლავ უბრუნდება საკუთარ ფესვებს. ფიქრობს და განსჯის ქვეყნის წარსულს უკეთესი მომავლისთვის.

რაც შეეხება კონკურსის პრაქტიკულ მნიშვნელობას – მოსწავლეები იძენენ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს, სწავლობენ ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობას, მონაწილეობენ დისკუსიებში. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე თემამ აუდიტორიის საკმაოდ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა და დამსწრე საზოგადოება საინტერესო განხილვების მოწმე გახდა.

ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

I ადგილი:

ქართული – **ნინი მგელაძე** (VII კლ), **მარი მგელაძე** (X კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტები;

მათემატიკა – **ნინი მგელაძე** (VII კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი, **თამარ ღაძაძე** (VII კლ), ევროპული სკოლის მოსწავლე;

ისტორია – **ვახტანგ გამცემლიძე** (X კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი;

ბიოლოგია – **ირაკლი მესხიშვილი** (XI კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი;

ინგლისური – **მარი მგელაძე** (X კლ), **ნინი მგელაძე** (VII კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტები;

ხელოვნება – **რომანოზ ჯუღელი** (VIIIკლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი, **ირაკლი თუთბერიძე** (IX კლ), ევროპული სკოლის მოსწავლე.

II ადგილი:

ქართული – **სესილი გოგიშვილი** (VII კლ), **თამთა გოგოლაძე** (VIIIკლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტები;

მათემატიკა – **ნიკა მაზანაშვილი** (IX კლ), **ანა დარბაიძე** (IX კლ), მე-11 სკოლის მოსწავლეები;

ისტორია – **ირაკლი მესხიშვილი** (XI კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი, **გიორგი ლელუაშვილი** (IX კლ), ევროპული სკოლის მოსწავლე;

ბიოლოგია – **ანა მარია გოგინაშვილი** (IX კლ), ევროპული სკოლის მოსწავლე;

ინგლისური – **ლუკა ჭიღლაძე** (VII კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი, **ვადო ცომაია** (XI კლ), მე-20-ე საჯარო სკოლის მოსწავლე;

ხელოვნება – **ელენე ანდრიაშვილი** (V კლ), **ელენე ასათიანი** (VII კლ), **ანა ქავთარაძე** (VIII კლ), მე-11 სკოლის მოსწავლეები; **დავით დვალი** (VI კლ), ნიკო ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ლიცეანტი.

გამარჯვებულები სკოლა-ლიცეუმის დირექციამ დააჯილდოვა და კონკურსის თითოეულ მონაწილეს დიდი წარმატება უსურვა. აღინიშნა ამ კონკურსის გამორჩეული მნიშვნელობა, დაისახა სამომავლო გეგმები და გამოითქვა იმედი, რომ „სამეფო გვირგვინი“ კიდევ უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

საპატიო სიგელი გადაეცა კონკურსის ყველა მონაწილეს.

თინათინ გავაშელი
ნიკო ბაგრატიონის სახელობის
თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის
ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK